პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სპეციალური გამოშვება. ორშაბათი, 3 სექტემბერი, 1945 წ.

მოგილოცავთ იაპონიაზე გამარჯვებას, ამხანაგებო!

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი

ამხანაგებო!

თანამემამულენო!

დღეს, 2 სექტემბერს, იაპონიის სახელმწიფო და სამხედრო წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. ზღვებსა და ხმელეთზე სასტიკად დამარცხებულმა და გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალებით ყოველი მხრიდან გარშემორტყმულმა იაპონიამ თავი დამარცხებულად სცნო და იარაღი დაჰყარა.

მსოფლიო ფაშიზმისა და მსოფლიო აგრესიის ორი კერა შეიქმნა ახლანდელი მსოფლიო ომის წინ: გერმანია — დასავლეთში და იაპონია — აღმოსავლეთში. ისინი იყვნენ, მეორე მსოფლიო ომი რომ გააჩაღეს. ისინი იყვნენ, კაცობრიობა და მისი ცივილიზაცია დაღუპვის პირას რომ მიიყვანეს. მსოფლიო აგრესიის კერა დასავლეთში ლიკვიდირებულ იქნა ოთხი თვის წინათ, რის შედეგადაც გერმანია იძულებული აღმოჩნდა კაპიტულაცია მოეხდინა. აქედან ოთხი თვის შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა მსოფლიო აგრესიის კერა აღმოსავლეთში, რის შედეგადაც იაპონია, გერმანიის მთავარი მოკავშირე, აგრეთვე იძულებული აღმოჩნდა ხელი მოეწერა კაპიტულაციის აქტისათვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობისათვის საჭირო პირობები უკვე მოპოვებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონელმა დამპყრობლებმა ზიანი მიაყენეს არა მარტო ჩვენს მოკავშირეებს — ჩინეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს. მათ უაღრესად სერიოზული ზიანი მიაყენეს ჩვენს ქვეყანასაც. ამიტომ ჩვენ კიდევ განსაკუთრებული ანგარიში გვაქვს იაპონიის მიმართ.

თავისი აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იაპონიამ დაიწყო ჯერ კიდევ 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის დროს. როგორც ცნობილია, 1904 წლის თებერვალში, როცა მოლაპარაკება იაპონიასა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ გრძელდებოდა, იაპონია, რომელმაც ისარგებლა მეფის მთავრობის სისუსტით, მოულოდნელად და ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად, — დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას და იერიში მიიტანა რუსეთის ესკადრაზე პორტ-არტურის რაიონში, რათა მწყობრიდან გამოეყვანა რუსეთის რამდენიმე სამხედრო ხომალდი და ამით ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა თავისი ფლოტისათვის. და მან მართლაც გამოიყვანა მწყობრიდან რუსეთის სამი პირველხარისხოვანი სამხედრო ხომალდი. დამახასიათებელია, რომ აქედან 37 წლის შემდეგ იაპონიამ ზუსტად გაიმეორა ეს ვერაგული ხერხი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, როცა 1941 წელს თავს დაესხა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზას პირლ-ჰარბორში და მწყობრიდან გამოიყვანა ამ სახელმწიფოს რამდენიმე სახაზო გემი. როგორც ცნობილია, იაპონიასთან ომში რუსეთმა მაშინ დამარცხება განიცადა. იაპონიამ კი ისარგებლა მეფის რუსეთის დამარცხებით იმისათვის, რომ ჩამოეგლიჯა რუსეთისაგან სამხრეთი სახალინი, დამკვიდრებულიყო კურილის კუნძულებზე და, ამრიგად, ჩვენი ქვეყნისათვის მაგრად ჩაეკეტა აღმოსავლეთში ყველა გასასვლელი ოკეანისაკენ — მაშასადამე, აგრეთვე ყველა გასასვლელი საბჭოთა კამჩატკის და საბჭოთა ჩუკოტკის ნავსადგურებისაკენ. ცხადი იყო, რომ იაპონია მიზნად ისახავდა ჩამოეგლიჯა რუსეთისათვის მთელი მისი შორეული აღმოსავლეთი.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება იაპონიის დამპყრობლური მოქმედება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. 1918 წელს, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, იაპონიამ ისარგებლა მაშინ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების მტრული დამოკიდებულებით საბჭოთა ქვეყნისადმი და, მათზე დაყრდნობით, — კვლავ დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, მოახდინა შორეული აღმოსავლეთის ოკუპაცია და ოთხი წლის განმავლობაში სტანჯავდა ჩვენს ხალხს, ძარცვავდა საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს.

მაგრამ ესეც როდია ყველაფერი. 1938 წელს იაპონია კვლავ დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას ხასანის ტბის რაიონში, ვლადივოსტოკის ახლოს, იმ მიზნით, რომ გარს შემორტყმოდა ვლადივოსტოკს, ხოლო შემდეგ წელს იაპონიამ გაიმეორა თავისი თავდასხმა უკვე სხვა ადგილას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის რაიონში, ხალხინ-გოლთან, იმ მიზნით, რომ შემოჭრილიყო საბჭოთა ტერიტორიაზე, გადაეჭრა ჩვენი ციმბირის რკინიგზის მაგისტრალი და მოეწყვიტა რუსეთისათვის შორეული აღმოსავლეთი.

მართალია, იაპონიის იერიშები ხასანისა და ხალხინ-გოლის რაიონში ლიკვიდირებულ იქნა საბჭოთა ჯარების მიერ იაპონელებისათვის დიდად სამარცხვინოდ. ასევე წარმატებით ლიკვიდირებულ იქნა იაპონიის სამხედრო ინტერვენცია 1918-22 წლებში, და იაპონელი ოკუპანტები განდევნილ იქნენ ჩვენი შორეული აღმოსავლეთის რაიონებიდან. მაგრამ 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში რუსეთის ჯარების დამარცხებამ მძიმე მოგონებანი დასტოვა ხალხის შეგნებაში. ეს დამარცხება შავ ლაქად დააჩნდა ჩვენს ქვეყანას. ჩვენს ხალხს სწამდა და მოელოდა, რომ დადგებოდა დღე, როცა იაპონია დამარცხდებოდა და ლაქა წარხოცილ იქნებოდა. ორმოც წელიწადს ველოდით ჩვენ, ძველი თაობის ადამიანები, ამ დღეს. და აი, ეს დღე დადგა. დღეს იაპონიამ დამარცხებულად სცნო თავი და ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.



ეს იმას ნიშნავს, რომ სამხრეთი სახალინი და კურილის კუნძულები საბჭოთა კავშირის ხელში გადმოვლენ და ამიერიდან ისინი ოკეანისაგან საბჭოთა კავშირის მოწყვეტის საშუალება და ჩვენს შორეულ აღმოსავლეთზე იაპონიის თავდასხმის ბაზა კი აღარ იქნებიან, არამედ ოკეანესთან საბჭოთა კავშირის პირდაპირი კავშირის საშუალება და იაპონიის აგრესიისაგან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ბაზა.

ჩვენი საბჭოთა ხალხი ძალებსა და შრომას არ იშურებდა გამარჯვებისათვის. ჩვენ მძიმე წლები გადავიტანეთ. ახლა თვითეულ ჩვენგანს შეუძლია სთქვას: ჩვენ გავიმარჯვეთ. ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გადარჩენილია გერმანელთა შემოსევის საფრთხეს დასავლეთში და იაპონელთა შემოსევის საფრთხეს აღმოსავლეთში. დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

მოგილოცავთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, დიდ გამარჯვებას, ომის წარმატებით დამთავრებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დადგომას!

დიდება საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება იაპონიაზე!

დიდება ჩვენს შორეულ აღმოსავლეთის ჯარებსა და წყნარი ოკეანის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებმაც დაიცვეს ჩვენი სამშობლოს სახელი და ღირსება!

დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ბრძოლებში ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და გამარჯვებისათვის!

გამარჯვება და აყვავება ჩვენს სამშობლოს!

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 3 სექტემბრის იაპონიაზე გამარჯვების დღესასწაულად გამოცხადების შესახებ

იაპონიაზე გამარჯვების აღსანიშნავად დაწესდეს, რომ 3 სექტემბერი არის საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღე — იაპონიაზე გამარჯვების დღესასწაული.

3 სექტემბერი ითვლებოდეს არასამუშაო დღედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 2 სექტემბერი.

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა 3 სექტემბრის იაპონიაზე გამარჯვების დღესასწაულად გამოცხადების შესახებ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 1945 წლის 3 სექტემბერი ჩაითვალოს არასამუშაო დღედ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა საბჭოთა სახელმწიფო დაწესებულებას ამა წლის 3 სექტემბერს, საყოველთაო სახალხო ზეიმის — იაპონიაზე გამარჯვების დღესასწაულის დღეს, თავიანთ შენობებზე აღმართონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ალამი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

სამშაბათი, 4 სექტემბერი, 1945 წ. № 176 (7391). ფასი 20 კაპ.

ჩვენი საბჭოთა ხალხი ძალებსა და შრომას არ იშურებდა გამარჯვებისათვის. ჩვენ მძიმე წლები გადავიტანეთ. ახლა თვითეულ ჩვენგანს შეუძლია სთქვას: ჩვენ გავიმარჯვეთ. ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გადარჩენილია გერმანელთა შემოსევის საფრთხეს დასავლეთში და იაპონელთა შემოსევის საფრთხეს აღმოსავლეთში. დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

ი. სტალინი



ნახატი უჩა ჯაფარიძისა

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 3 სექტემბრის იაპონიაზე გამარჯვების დღესასწაულად გამოცხადების შესახებ

**იაპონიაზე გამარჯვების აღსანიშნავად დაწესდეს, რომ 3 სექტემბერი არის საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღე — იაპონიაზე გამარჯვების დღესასწაული. 3 სექტემბერი ითვლებოდეს არასამუშაო დღედ.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1945 წლის 2 სექტემბერი

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა 3 სექტემბრის იაპონიაზე **გამარჯვების დღესასწაულად** გამოცხადების შესახებ შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 1945 წლის 3 სექტემბერი ჩაითვალოს არასამუშაო დღედ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა საბჭოთა სახელმწიფო დაწესებულებას ამა წლის 3 სექტემბერს, საყოველთაო სახალხო ზეიმის — იაპონიაზე **გამარჯვების დღესასწაულის** დღეს, თავიანთ შენობებზე აღმართონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ალამი.

# ბრძანება

## უმაღლესი მთავარსარდლისა

## წითელი არმიის ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი

1945 წლის 2 სექტემბერს ტოკიოში იაპონიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აქტს იაპონიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

საბჭოთა ხალხისა და ჩვენი მოკავშირეების ერთობლივი ომი უკანასკნელი აგრესორის — იაპონიის იმპერიალიზმის — წინააღმდეგ ძლევამოსილად დამთავრდა, იაპონია განადგურებულია და კაპიტულაცია გამოაცხადა.

ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო, ადმირალებო და მარშლებო, გილოცავთ იაპონიის წინააღმდეგ ომის ძლევამოსილად დამთავრებას.

იაპონიაზე გამარჯვების აღსანიშნავად, დღეს, 3 სექტემბერს, იაპონიაზე გამარჯვების დღესასწაულის დღეს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს წითელი არმიის მამაც ჯარებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებმაც ეს გამარჯვება მოიპოვეს.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და გამარჯვებისათვის ბრძოლებში!

ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ჩვენი წითელი არმია და ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ი. სტალინი**

1945 წლის 3 სექტემბერი. № 373.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 2 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

შორეულ აღმოსავლეთში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

1 სექტემბერს ჩვენს ჯარებს ტყვედ დანებდა 8.000 იაპონელი ჯარისკაცი და ოფიცერი და სამი გენერალი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი

ამხანაგებო!

თანამემამულენო!

დღეს, 2 სექტემბერს, იაპონიის სახელმწიფო და სამხედრო წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. ზღვებსა და ხმელეთზე სასტიკად დამარცხებულმა და გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალებით ყოველი მხრიდან გარშემორტყმულმა იაპონიამ თავი დამარცხებულად სცნო და იარაღი დაჰყარა.

მსოფლიო ფაშიზმისა და მსოფლიო აგრესიის ორი კერა შეიქმნა ახლანდელი მსოფლიო ომის წინ: გერმანია — დასავლეთში და იაპონია — აღმოსავლეთში. ისინი იყვნენ, მეორე მსოფლიო ომი რომ გააჩაღეს. ისინი იყვნენ, კაცობრიობა და მისი ცივილიზაცია დაღუპვის პირას რომ მიიყვანეს. მსოფლიო აგრესიის კერა დასავლეთში ლიკვიდირებულ იქნა ოთხი თვის წინათ, რის შედეგადაც გერმანია იძულებული აღმოჩნდა კაპიტულაცია მოეხდინა. აქედან ოთხი თვის შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა მსოფლიო აგრესიის კერა აღმოსავლეთში, რის შედეგადაც იაპონია, გერმანიის მთავარი მოკავშირე, აგრეთვე იძულებული აღმოჩნდა ხელი მოეწერა კაპიტულაციის აქტისათვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობისათვის საჭირო პირობები უკვე მოპოვებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონელმა დამპყრობლებმა ზიანი მიაყენეს არა მარტო ჩვენს მოკავშირეებს — ჩინეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს. მათ უაღრესად სერიოზული ზიანი მიაყენეს ჩვენს ქვეყანასაც. ამიტომ ჩვენ კიდევ განსაკუთრებული ანგარიში გვაქვს იაპონიის მიმართ.

თავისი აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, იაპონიამ დაიწყო ჯერ კიდევ 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის დროს. როგორც ცნობილია, 1904 წლის თებერვალში, როცა მოლაპარაკება იაპონიასა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ გრძელდებოდა, იაპონია, რომელმაც ისარგებლა მეფის მთავრობის სისუსტით, მოულოდნელად და ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად, — დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას და იერიში მიიტანა რუსეთის ესკადრაზე პორტ-არტურის რაიონში, რათა მწყობრიდან გამოეყვანა რუსეთის რამდენიმე სამხედრო ხომალდი და ამით ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა თავისი ფლოტისათვის. და მან მართლაც გამოიყვანა მწყობრიდან რუსეთის სამი პირველხარისხოვანი სამხედრო ხომალდი. დამახასიათებელია, რომ აქედან 37 წლის შემდეგ იაპონიამ ზუსტად გაიმეორა ეს ვერაგული ხერხი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, როცა 1941 წელს თავს დაესხა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზას პირლ-ჰარბორში და მწყობრიდან გამოიყვანა ამ სახელმწიფოს რამდენიმე სახაზო გემი. როგორც ცნობილია, იაპონიასთან ომში რუსეთმა მაშინ დამარცხება განიცადა. იაპონიამ კი ისარგებლა მეფის რუსეთის დამარცხებით იმისათვის, რომ ჩამოეგლიჯა რუსეთისაგან სამხრეთი სახალინი, დამკვიდრებულიყო კურილის კუნძულებზე და, ამრიგად, ჩვენი ქვეყნისათვის მაგრად ჩაეკეტა აღმოსავლეთში ყველა გასასვლელი ოკეანისაკენ — მაშასადამე, ასევე ყველა გასასვლელი საბჭოთა კამჩატკის და საბჭოთა ჩუკოტკის ნავსადგურებისაკენ. ცხადი იყო, რომ იაპონია ამოცანად ისახავდა ჩამოეგლიჯა რუსეთისათვის მთელი მისი შორეული აღმოსავლეთი.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება იაპონიის დამპყრობლური მოქმედება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. 1918 წელს, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, იაპონიამ ისარგებლა მაშინ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების მტრული დამოკიდებულებით საბჭოთა ქვეყნისადმი და, მათზე დაყრდნობით, — კვლავ დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, მოახდინა შორეული აღმოსავლეთის ოკუპაცია და ოთხი წლის განმავლობაში სტანჯავდა ჩვენს ხალხს, ძარცვავდა საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს.

მაგრამ ესეც როდია ყველაფერი. 1938 წელს იაპონია კვლავ დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას ხასანის ტბის რაიონში, ვლადივოსტოკის ახლოს, იმ მიზნით, რომ გარს შემორტყმოდა ვლადივოსტოკს, ხოლო შემდეგ წელს იაპონიამ გაიმეორა თავისი თავდასხმა უკვე სხვა ადგილას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის რაიონში, ხალხინ-გოლთან იმ მიზნით, რომ შემოჭრილიყო საბჭოთა ტერიტორიაზე, გადაეჭრა ჩვენი ციმბირის რკინიგზის მაგისტრალი და მოეწყვიტა რუსეთისათვის შორეული აღმოსავლეთი.

მართალია, იაპონიის იერიშები ხასანისა და ხალხინ-გოლის რაიონში ლიკვიდირებულ იქნა საბჭოთა ჯარების მიერ იაპონელებისათვის დიდად სამარცხვინოდ. ასევე წარმატებით ლიკვიდირებულ იქნა იაპონიის სამხედრო ინტერვენცია 1918-22 წლებში, და იაპონელი ოკუპანტები განდევნილ იქნენ ჩვენი შორეული აღმოსავლეთის რაიონებიდან. მაგრამ 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში რუსეთის ჯარების დამარცხებამ მძიმე მოგონებანი დასტოვა ხალხის შეგნებაში. ეს დამარცხება შავ ლაქად დააჩნდა ჩვენს ქვეყანას. ჩვენს ხალხს სწამდა და მოელოდა, რომ დადგებოდა დღე, როცა იაპონია დამარცხდებოდა და ლაქა წარხოცილ იქნებოდა. ორმოც წელიწადს ველოდით ჩვენ, ძველი თაობის ადამიანები, ამ დღეს. და აი, ეს დღე დადგა. დღეს იაპონიამ დამარცხებულად სცნო თავი და ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

ეს იმას ნიშნავს, რომ სამხრეთი სახალინი და კურილის კუნძულები საბჭოთა კავშირის ხელში გადმოვლენ და ამიერიდან ისინი ოკეანისაგან საბჭოთა კავშირის მოწყვეტის საშუალება და ჩვენს შორეულ აღმოსავლეთზე იაპონიის თავდასხმის ბაზა კი აღარ იქნებიან, არამედ ოკეანესთან საბჭოთა კავშირის პირდაპირი კავშირის საშუალება და იაპონიის აგრესიისაგან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ბაზა.

ჩვენი საბჭოთა ხალხი ძალებსა და შრომას არ იშურებდა გამარჯვებისათვის. ჩვენ მძიმე წლები გადავიტანეთ. ახლა თვითეულ ჩვენგანს შეუძლია სთქვას: ჩვენ გავიმარჯვეთ. ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გადარჩენილია გერმანელთა შემოსევის საფრთხეს დასავლეთში და იაპონელთა შემოსევის საფრთხეს აღმოსავლეთში. დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

მოგილოცავთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, დიდ გამარჯვებას, ომის წარმატებით დამთავრებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დადგომას!

დიდება საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება იაპონიაზე!

დიდება ჩვენს შორეულ აღმოსავლეთის ჯარებსა და წყნარი ოკეანის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებმაც დაიცვეს ჩვენი სამშობლოს სახელი და ღირსება!

დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ბრძოლებში ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და გამარჯვებისათვის!

გამარჯვება და აყვავება ჩვენს სამშობლოს!

ბიბლიოთეკა

# დიდება საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება იაპონიაზე!

ი. სტალინი

## ხელმოწერა აქტისა იაპონიის კაპიტულაციის შესახებ

ტოკიო, 2 სექტემბერი. (საქტაგი). დღეს 10 საათსა და 30 წუთზე ტოკიოს დროით ამერიკის სახაზო გემ „მისურიზე", რომელიც ტოკიოს ყურის წყლებში იმყოფება, ხელმოწერილ იქნა აქტი იაპონიის კაპიტულაციის შესახებ.

აქტის ხელმოწერის ცერემონიის დასაწყისში გენერალმა მაკარტურმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „მე ვაცხადებ ჩემს მტკიცე განზრახვას, იმ ქვეყნების ტრადიციის თანახმად, რომლების წარმომადგენელიც მე ვარ, ჩემი მოვალეობის შესრულებისას გამოვიჩინო სამართლიანობა და შემწყნარებლობა, ამავე დროს მივიღო ყველა საჭირო ზომა კაპიტულაციის პირობების სრული, სწრაფი და ზუსტი შესრულების უზრუნველსაყოფად. ჩვენ შევიკრიბეთ აქ როგორც მთავარ მეომარ სახელმწიფოთა წარმომადგენლები იმისათვის, რომ დავდოთ საზეიმო შეთანხმება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მშვიდობიანობის აღდგენა. სხვადასხვა იდეალებთან და იდეოლოგიებთან დაკავშირებული პრობლემები გადაჭრილ იქნენ მთელი მსოფლიოს ბრძოლის ველებზე და ამიტომ სადისკუსიო და საკამათო აღარ არიან".

შემდეგ გენერალმა მაკარტურმა წინადადება მისცა იაპონიის წარმომადგენლებს ხელი მოეწერათ კაპიტულაციის აქტისათვის. მას შემდეგ, რაც იაპონელებმა ხელი მოაწერეს ამ აქტს, მას ხელი მოაწერა თვითონ გენერალმა მაკარტურმა; შემდეგ აქტს ხელი მოაწერეს ჩინეთის, შეერთებული სამეფოს, სსრ კავშირის, ავსტრალიის, კანადის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლებმა.

იაპონიის კაპიტულაციის აქტის ხელმოწერის შემდეგ ვაშინგტონიდან რადიოთი გადაცემულ იქნა პრეზიდენტ ტრუმენის სიტყვა.

## პრეზიდენტ ტრუმენის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საქტაგი). პრეზიდენტმა ტრუმენმა თავის სიტყვაში 2 სექტემბერი გამოაცხადა გამარჯვების ოფიციალურ დღედ—იაპონიის ფორმალური კაპიტულაციის დღედ.

ტრუმენმა განაცხადა: ეს დღე ჩვენ, ამერიკელებს, მუდამ გვეხსომება, როგორც შურისძიების დღე, ისევე, როგორც გვახსოვს დღე — სირცხვილის დღე (პერლ-ჰარბორი). დღეიდან ჩვენ წინ მივდივართ. ჩვენ მივდივართ ჩვენს ქვეყანაში უშიშროების ახალი ხანისაკენ. სხვა გაერთიანებულ ერებთან ერთად ჩვენ მივდივართ ახალი უკეთესი მსოფლიოსაკენ, საერთაშორისო კეთილი ნებისა და თანამშრომლობის მსოფლიოსაკენ. უზენაესის შემწეობით ჩვენ მოვესწარით გამარჯვების ამ დღეს. მისი შემწეობით ჩვენ მოვესწრებით მშვიდობიანობასა და აყვავებას საკუთრივ ჩვენთვის და მთელი მსოფლიოსათვის მომავალი წლების განმავლობაში.

პრეზიდენტმა ტრუმენმა მოაგონა მთელ თავის ქვეყანას პერლ-ჰარბორი. „მძლავრი საფრთხე ცივილიზაციისათვის, — განაცხადა მან, — რაც იქ გამოვლინდა, ახლა თავიდან აცილებულია. ტოკიოში მიმავალი გზა გრძელი და სისხლიანი აღმოჩნდა. ჩვენ არ დავივიწყებთ პერლ-ჰარბორს. იაპონელი მილიტარისტები არ დაივიწყებენ „მისურის". ბოროტება, რაც იაპონელმა მილიტარისტებმა მოგვაყენეს, არასოდეს არ შეიძლება წარხოცილ ან დავიწყებულ იქნას. მაგრამ მათ წაერთვათ მოსპობისა და ხოცვის ეს უნარი. მათი არმიები და ის, რაც მათი ფლოტისაგან დარჩა, ამჟამად უძლურნი არიან".

ტრუმენმა სათანადო მიუზღო რუზველტს და უწოდა მას „ჩვენგან წასული მამაცი ხელმძღვანელი, დემოკრატიის მფარველი, საერთაშორისო მშვიდობიანობისა და თანამშრომლობის არქიტექტორი".

კაპიტულაციის ხელმოწერის ცერემონია, რაც 45 წუთს გაგრძელდა, დამთავრდა გენერალ მაკარტურისა და ადმირალ ნიმიცის გამოსვლებით.

გენერალმა მაკარტურმა თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ მთელი წინანდელი ცდები—ხელი შეეშალა საერთაშორისო კონფლიქტებისათვის და გადაეჭრა ისინი, უშედეგოდ დამთავრდა, რასაც მოჰყვა ომის მძიმე განსაცდელი. „ამჟამად ომის უდიდესი გამანადგურებლობა გამორიცხავს ასეთ ალტერნატივას. ჩვენ უკანასკნელი შესაძლებლობა მოგვეცა. თუ ჩვენ ამჟამად არ შევქმნით უკეთესი და უფრო სამართლიანი სისტემა, ჩვენ განწირული ვიქნებით".

ადმირალმა ნიმიცმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ „მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს ახარებს გამარჯვება, ისინი ამაყობენ ჩვენი გაერთიანებული ძალების მიღწევებით. საჭიროა, რომ გაერთიანებულმა ერებმა განუხრელად განახორციელონ საზავო პირობები, რომლებიც თავს მოახვიეთ იაპონიას. საჭირო იქნება აგრეთვე ისეთ დონეზე ვიყოლიოთ ჩვენი ქვეყნის ძალები, რომელიც მომავალში არ დაუშვებს ჩვენებური ცხოვრების მოსასპობად მიმართული აგრესიის აქტებს. ახლა ჩვენ მივმართავთ რეკონსტრუქციისა და აღდგენის დიად ამოცანას. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პრობლემების გადაჭრისას ჩვენ ვიმოქმედებთ ასეთივე ხელოვნებით, გამჭრიახობითა და გამჭვრეტელობით, როგორც გამარჯვების მიღწევასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისას".

## ბირნსის განცხადება იაპონიის კაპიტულაციის გამო

ვაშინგტონი, 2 სექტემბერი. (საქტაგი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბირნსმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

„დღევანდელი დღე ნიშნავს იაპონიის წინააღმდეგ ჩვენი ომის ერთ-ერთი ეტაპის — სამხედრო ეტაპის დამთავრებას. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩვენი მოკავშირეების ღონისძიებებითა და მსხვერპლით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენი ოდესღაც მძლავრი მტრის შეიარაღებულმა ძალებმა კაპიტულაცია მოახდინეს მტრისა, რომელმაც ისარგებლა ჩვენი მოუმზადებლობით და იმით, რომ დასავლეთის ქვეყნები ჩაბმული იყვნენ ევროპის ომში, და ერთ დროს შეიპყრა მთელ აღმოსავლეთ აზიაში — მანჯურიიდან ჩრდილოეთში ინდოეთის ოკეანემდე სამხრეთში. ამჟამად ხდება იაპონიის ფიზიკური განიარაღება და დროთა ვითარებაში ჩვენ სავსებით მოვუსპობთ მას ომის წარმოების უნარს, მოვუსპობთ მისი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების ლიკვიდაციის გზით, სამხედრო მასალისა და ობიექტების მოსპობის გზით და მისი სამხედრო მრეწველობის გამოტანის ან დანგრევის გზით.

ჩვენ ვუახლოვდებით იაპონიის წინააღმდეგ ჩვენი ომის მეორე ეტაპს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ამ ქვეყნის მოსახლეობის სულიერი განიარაღება, რათა ვაიძულოთ იგი ომის ნაცვლად მშვიდობიანობისაკენ მიისწრაფოდეს. ეს ერთგვარად უფრო ძნელი ამოცანაა, ვიდრე ფიზიკური განიარაღების განხორციელება. ადამიანთა განწყობილების შეცვლა შეუძლებელია ხიშტების საშუალებით ან ედიქტების უბრალო გამოცემით. იაპონელთა სულიერ განიარაღებას რომ მივაღწიოთ, ამისათვის ჩვენ განზრახული გვაქვს აღმოვფხვრათ მთელი დაბრკოლებანი, როგორც, მაგალითად, ჩაგვრისაკენ მიმართული კანონები, რომლებიც წარსულში ახშობდნენ სიმართლის გზას და იაპონიაში დემოკრატიის თავისუფალ განვითარებას. ჩვენ აღმოვფხვრით იმ ულტრანაციონალისტურ და ტოტალიტურ მოძღვრებებს სკოლებსა და მოსახლეობაში, რომლებიც წარსულში აიძულებდნენ ადამიანებს დათანხმებოდნენ თავიანთი სამხედრო ლიდერების მილიტარისტულ ფილოსოფიას. ჩვენ მივიღებთ ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება საჭირო აღმოჩნდნენ დემოკრატიული რეფორმების წასახალისებლად ჩაგრულ კლასებში — გლეხებსა და სამრეწველო მუშებში, რათა მათ ხმის უფლება ჰქონდეთ თავიანთ მთავრობაში. ჩვენ იმედი გვაქვს ვიხილოთ მომავალში ისეთი მთავრობის წარმოშობა იაპონიაში, რომელიც ფართოდ დაემყარება მოსახლეობის ყველა ელემენტს, რომლებიც მშვიდობისმოყვარულად იქნებიან განწყობილნი და პატივს სცემენ სხვა ქვეყნების უფლებებს. ჩვენ და ჩვენი მოკავშირეები ვიმსჯელებთ იმის შესახებ, ხელს შეუწყობს თუ არა მთავრობა, რომელიც შეიქმნება, საყოველთაო მშვიდობიანობასა და უშიშროებას. ჩვენ ამ მთავრობის შესახებ ვიმსჯელებთ მისი საქმეების და არა სიტყვების მიხედვით. ასეთია ამოცანა, რომლის შესრულებასაც ჩვენ გვავალებს ბრძოლის ველზე და ჩვენს ქვეყანაში ჩვენ მიერ გაწეული მსხვერპლი, და ღვთის შეწევნით განზრახული გვაქვს ბოლომდე მივიყვანოთ ეს ამოცანა".

## იაპონელთა კაპიტულაცია კუნძულ ტრუკზე

ლონდონი, 3 სექტემბერი. (საქტაგი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც კუნძულ გუამზე იმყოფება, გადმოგვცემს, რომ იაპონიის დიდმა სამხედრო-საზღვაო ბაზამ კუნძულ ტრუკზე (კაროლინის კუნძულები), რომელსაც ომის დასაწყის სტადიაში მოკავშირეთა ავიაცია ხშირად ბომბავდა, გუშინ კაპიტულაცია გამოაცხადა.

## ტყვედ დანებდა ფილიპინებზე მყოფი იაპონელი ჯარების სარდალი

ლონდონი, 3 სექტემბერი. (საქტაგი). როგორც რეიტერის სააგენტოს მანილელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ფილიპინებზე იაპონიის შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ტომოიუკი იამასიტა გუშინ დილით ტყვედ დანებდა ამერიკელებს.

## სახაზო გემ „მისურიზე"

ნელა იფანტება ნისლი ტოკიოს ბუხტის თავზე ამ ისტორიულ დღეს. თანდათანობით ჩნდებიან სილუეტები მოკავშირეთა მრავალი ხომალდისა, რომლებიც მრისხანედ ჩამწკრივებულან იაპონიის დედაქალაქის პირდაპირ.

ნაღმოსანი მიგვაქროლებს სახაზო გემისაკენ, რომელზეც უნდა მოხდეს იაპონიის კაპიტულაციის აქტის ხელმოწერა. ეს ნაღმოსანი პატარა, მაგრამ მარჯვე ხომალდია. ტორპედოს იერიშით მან ჩაძირა კრეისერი „ჯემსუ", მტრის ორი წყალქვეშა ნავი, თავისი არსებობის განმავლობაში ჩამოაგდო იაპონიის ცხრა თვითმფრინავი. ახლა მას თავის ფლაგმანთან მიჰყავს ყველა თავისუფლებისმოყვარე ერთა პრესის წარმომადგენლები.

ჩვენს წინ არის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ხომალდი — „მისური". მის მარჯვნივ და მარცხნივ არიან თანამებრძოლები — ამერიკის სახაზო გემები „აიოვა", „სამხრეთი დაკოტა", მათ შემდეგ — ინგლისის საუკეთესო სახაზო გემები „გეორგ V", „იორკის ჰერცოგი". უფრო მოშორებით რეიდზე არიან ავსტრალიის, ჰოლანდიის, კანადის, ახალი ზელანდიის კრეისერები, ნაღმოსნები. ყველა კლასის ხომალდებს ვერ დაითვლი.

სახაზო გემ „მისურის", რომელზეც მოხდება აქტის ხელმოწერა, ტყუილად როდი ხვდა ეს პატივი. იგი ესკადრას მიუძღოდა, 24 მარტს იაპონიის ნაპირებს მიადგა და თავისი გიგანტური ქვემეხებით სროლა აუტეხა ტოკიოს ჩრდილოეთ მდებარე რაიონს. ამ სახაზო გემს ბევრი სხვა საბრძოლო საქმე აქვს შესრულებული. მან მტრების სიძულვილი დაიმსახურა. 11 აპრილს ამ სახაზო გემზე იერიში მიიტანა იაპონიის „თვითმკვლელმა" მფრინავმა, რომელმაც ხომალდს მხოლოდ უმნიშვნელო ზიანი მიაყენა, თვითონ კი დაიმსხვრა.

სახაზო გემის მარჯვენა ბორტს მიადგა ნაღმოსანი „ბუდკონანი", რომლითაც გენერალი მაკარტური მოვიდა. მის შემდეგ სახაზო გემზე ადიან მოკავშირე ქვეყნების დელეგაციები და სტუმრები. დელეგაციები თავს ადგილს იკავებენ მაგიდის უკან. მარჯვნიდან მარცხნივ არიან ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირის, ავსტრალიის, კანადის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ახალი ზელანდიის წარმომადგენლები. სტუმრები, 230-ზე მეტი კორესპონდენტი თავსდებიან სახაზო გემის ქიმის ნაწილზე, ავსებენ კაპიტნის ბოგს, კოშკის ყველა საქვემეხო ბაქანს.

მთავრდება ცერემონიისათვის მზადება. პატარა მაგიდას მწვანე მაუდს აფარებენ, დგამენ ორ საწერელს, სდებენ საშრობ ქაღალდს. შემდეგ მოაქვთ ორი სკამი, ერთმანეთის პირდაპირ. სდგამენ მიკროფონს. ყველაფერი აუჩქარებლივ კეთდება.

ცერემონიის დაწყების წინ გაისმის ხომალდის მღვდლის ხმა, იგი სთხოვს დამსწრეთ ქუდები მოიხადონ იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად.

— ჩვენ აქ იმის მოწმენი ვართ, — თუ როგორ დაამარცხეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც ომი არ უყვარდათ, ისინი, ვისაც ომი უყვარდა, — ამბობს მღვდელი თავის მოკლე სიტყვაში.

კიბეზე ამოდის იაპონიის დელეგაცია 11 კაცის შემადგენლობით, რომლებიც კატერით მოიყვანეს მთელი ცერემონიის მომზადების შემდეგ. დამსწრეთა სრულ სიჩუმეში მაგიდასთან მიდიან იაპონიის ქედმაღალი დიპლომატიის და ალვირახსნილი სამხედრო ხროვის წარმომადგენლები. წინ, მთლად შავში გამოწყობილი, მოდის იაპონიის დელეგაციის მეთაური იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მამორუ სიგემიცუ. მას მოჰყვება იაპონიის საარმიო გენერალური შტაბის უფროსი, სქელი, ტანდაბალი გენერალი უმეძუ. მათთან არიან იაპონიის დიპლომატიური და სამხედრო თანამდებობის პირნი სხვადასხვაფერი მუნდირებითა და კოსტუმებით გამოწყობილნი.

უბადრუკი შესახედავია მთელი ეს ჯგუფი! სად გაქრა იაპონელთა ცნობილი ღიმილი!

ხუთი წუთის განმავლობაში იაპონიის დელეგაცია დგას და მათ მრისხანედ უყურებს ხომალდზე მყოფი თავისუფლებისმოყვარე ერთა ყველა წარმომადგენელი.

იაპონელები სწორედ ჩინეთის დელეგაციის პირდაპირ დგანან.

სრულ 9 საათზე წყნარი ოკეანის დროით გემბანზე გამოჩნდება გენერალი მაკარტური. ის პირველი იყო, ვინც წინააღმდეგობა გაუწია ფილიპინებზე შეჭრილ იაპონელთა ჯარებს, და ომის ბოლომდე მთავარსარდალი იყო საომარი მოქმედების ამ ასპარეზზე.

სრულ სიჩუმეში მაკარტური სიტყვით მიმართავს დელეგატებსა და სტუმრებს.

„ჩვენ შევიკრიბეთ აქ—მთავარ მეომარ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რათა დავდოთ საზეიმო შეთანხმება, რომლის მეოხებითაც შეიძლება მშვიდობიანობა აღდგენილ იქნას. პრობლემები, რომლებიც ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ იდეალებსა და იდეოლოგიას იწვევენ, გადაწყვეტილ იქნენ მთელი მსოფლიოს ბრძოლის ველებზე და ამიტომ ჩვენი განხილვისა და კამათის საგანს არ წარმოადგენენ".

მაკარტურმა დაამთავრა თავისი სიტყვა და ხელით აღნიშნა იაპონელ დელეგატებს მივიდნენ მაგიდასთან.

ნელა მიდის მაგიდასთან სიგემიცუ. მან უხერხულად შეასრულა თავისი მძიმე მოვალეობა და მაგიდას მოშორდა ისე, რომ არავისთვის არ შეუხედავს. გულმოდგინედ აწერს ხელს გენერალი უმეძუ.

იაპონელები თავიანთ ადგილებზე მიდიან.

მაგიდაზე გაშლილ ყდებს უახლოვდება მაკარტური და თან იწვევს ამერიკის ორ გენერალს უეინრაიტსა და პერსივალს—კორეჰიდორის გმირებს. მათ სულ ცოტა ხნის წინათ დააღწიეს თავი იაპონელთა ტყვეობას—უეინრაიტი რამდენიმე დღის წინათ გაათავისუფლა წითელმა არმიამ მანჯურიაში.

მაკარტურის შემდეგ აქტს ხელს აწერენ ჩინეთის დელეგატები.

ჩინელებს შემდეგ მაგიდასთან მიდის ინგლისის ადმირალი ფრეზერი.

მრავალი ფოტო და კინოაპარატის ჩხაკუნი და ტკაცატკუცი ძლიერდება, როცა მაკარტური მაგიდასთან იწვევს საბჭოთა დელეგაციას. საბჭოთა დელეგაცია აქ ყურადღების ცენტრშია. დამსწრენი მასში ხედავენ წარმომადგენლებს მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოსას, რომელმაც ფაშისტური გერმანია გაანადგურა და შემდეგ იაპონიის კაპიტულაცია დააჩქარა.

გენერალ-ლეიტენანტ დერევიანკოს, რომელიც აქტს ხელს აწერს საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის რწმუნებით, თან ახლავან ავიაციის გენერალ-მაიორი ვორონოვი და კონტრ-ადმირალი სტეცენკო.

გენერალ დერევიანკოს შემდეგ მიდიან ავსტრალიის გენერალი ბლემი, კანადის წარმომადგენელი გენერალი გრეივი, საფრანგეთის დელეგატი გენერალი ლეკლერკი, ჰოლანდიისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლები.

აქტი ხელმოწერილია.

გამოსთქვა რა რწმენა, რომ ამიერიდან მტკიცე მშვიდობიანობა დამყარდება მთელ მსოფლიოში, მაკარტური ღიმილით ამთავრებს პროცედურას და სთხოვს აქტის ხელისმომწერ დელეგაციებს გაჰყვნენ მას ადმირალ ნიმიცის სალონში „მისურიზე".

ერთხანს იაპონიის დელეგატები მარტო დგანან. შემდეგ სიგემიცუს აბარებენ შავ ყდას, რომელშიც დევს ხელმოწერილი აქტის ეგზემპლარი, იაპონელები კიბით ჩადიან ძირს, სადაც მათ კატერი ელოდება.

სახაზო გემ „მისურის" დიდებული პარადით გადაუარეს „მფრინავმა ციხეებმა", მცველავი ფრენით გადაიქროლეს ავიაგამანადგურებლებმა...

სტუმრები ნაღმოსნებით მიემგზავრებიან „მისურიდან".

ამის შემდეგ, კაპიტულაციის აქტის განსახორციელებლად, ტოკიოსა და იოკოჰამისაკენ მიეშურება ასობით სადესანტო გემი, რომლებსაც მიჰყავთ ჯარები იაპონიის კუნძულების ოკუპაციისათვის.

ნიკ. ბოგდანოვი
ივ. ბოჩარნიკოვი

სახაზო გემი „მისური", ტოკიოს ბუხტა 2 სექტემბერი. (საქტაგის სპეციალური კორესპონდენტები).

## მოსკოვი 1945 წლის 2 სექტემბერს

არის დღეები, რომელთა ხსოვნა საუკუნეებში არ წარიხოცება. ჩვენი ხალხის გულში სამუდამოდ დარჩება ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების დღის ხსოვნა. ამიერიდან იმ ნათელ დღეებს თანავარსკვლავედში, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ძლიერებასა და სიდიადეს მოწმობენ, ეკუთვნის აგრეთვე 1945 წლის 3 სექტემბერი—იაპონიაზე გამარჯვების დღე.

წინადღით, როგორც ჩვეულებრივად გამოსასვლელ დღეს, ათიათასობით მოსკოველი თავიანთი ოჯახებით ქალაქგარეთ გაეშურა. მორთულ-მოკაზმულ ჩამუკებითა და ქალიშვილებით გაივსო პარკები და სტადიონები. ადამიანთა მჩქეფარე ნაკადი მიდი-მოდიოდა დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე.

და უეცრად გაისმა მოსკოვის რადიოსადგურის სიგნალების ნაცნობი მელოდიური ხმები. ხალხით გაიჭედა პუშკინის, სვერდლოვის, ძერჟინსკის მოედნები... მოუთმენელ მოლოდინში გადის წამები, და შემდეგ გაისმის ათასობით აღფრთოვანებული შეძახილი: რადიოთი სიტყვას წარმოსთქვამს ამხანაგი სტალინი!

ეს ამბავი ელვასავით მოედო მთელ მოსკოვს. მგზავრები ჩამოდიოდნენ ტრამვაის ვაგონებიდან, ავტობუსებიდან და ტროლეიბუსებიდან, რომ მოესმინათ ბელადის სიტყვა. ათასობით ადამიანი შეიკრიბა ბელორუსიის ვაგზლის მოედანზე. ეს-ეს არის ჩამოდგა შორი გზიდან მოსული ორი მატარებელი, და ჩამომსვლელნი, ბარგიანი მგზავრები რეპროდუქტორებთან დადგნენ. დადუმდნენ პატეფონები და ბაიანები სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდობის საერთო საცხოვრებელში. მოუსვენარმა ბავშვებმაც კი შესწყვიტეს თამაში ქუჩებში, გაქცნენ და ნაცნობსა თუ უცნობს ატყობინებდნენ, ამხანაგი სტალინი სიტყვას წარმოსთქვამსო.

ბელადის სიტყვის წინა წუთებში მოსკოველები იგონებდნენ სხვა დღეებს. 1941 წლის 3 ივლისი. აი ასევე იდგნენ ისინი თავიანთი საყვარელი ქალაქის ქუჩებში და სულგანაბულნი ისმენდნენ ხალხისადმი მიმართულ სტალინურ მოწოდებას—სამშობლოს დასაცავად დაირაზმეთო. ამხანაგ სტალინის სიტყვები ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში ძალითა და მომავალი გამარჯვების მხურვალე რწმენით აღუვსებდნენ გულს საბჭოთა ადამიანებს. წარუხოცელია ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების დღეს—1945 წლის 9 მაისს ბელადის მიერ წარმოთქმული სიტყვის მოგონება.

და აი, ოთხი თვე გავიდა და მოსკოვი, მთელი ჩვენი სამშობლო, წითელი არმია, რომელმაც მოკავშირეებთან ერთობლივ ბრძოლებში გაანადგურა მსოფლიო ფაშიზმისა და მსოფლიო აგრესიის ორი კერა—დასავლეთსა და აღმოსავლეთში, უსმენენ საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს ამხანაგ სტალინს.

ბედნიერებით გაბრწყინებული თვალებით ისმენენ მოსკოველები ცნობას იმის შესახებ, რომ 2 სექტემბერს იაპონიის სახელმწიფო და სამხედრო წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

საღამოს, როცა მოსკოვს სადღესასწაულო ბრწყინვალე შუქი მოეფინა, ქალაქის ყველა კუთხიდან, ზამოსკვორეჩიედან და წითელი პრესნიდან, სერპუხოვკიდან და „კრესტიანსკაია ზასტავიდან" დაუსრულებელ ნაკადად გაემართა ათასობით მოსკოველი წითელი მოედნისაკენ. აქ, ძველი კრემლის კედლებთან, მოვიდნენ ამ საღამოს მოსკოველები, რათა უფრო ახლო ყოფილიყვნენ ამხანაგ სტალინთან, მოვიდნენ როგორც ყოველთვის ტრადიციით დიდ დღესასწაულთა დღეებში, სახალხო ზეიმის დღეებში. მათ აავსეს მთელი წითელი მოედანი, ტრიბუნები. ღამის ცა პროჟექტორების სხივებით გაბრწყინდა. ერთი წამით კრემლის თავზე ერთმანეთს გადაეჭდო პროჟექტორთა სხივები და გაანათა მაცხოვრის კოშკის დიადი კონტურები.

ჰაერში გაისმის ახალგაზრდობის სიხარულით აღსავსე შეძახილები, ხუმრობა, სიცილი. ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო; მას აჰყვნენ ქალიშვილები, რომელთა წკრიალა ხმები მოეფინა მოედანს, მთელ მოსკოვს... სტალინის სიტყვები ყველას პირზე აკერია. მოსკოველები, რომლებმაც მრისხანე ბრძოლებში გერმანელ დამპყრობთაგან დაიცვეს თავიანთი საყვარელი დედაქალაქი, გამარჯვებული მეომრები—საბჭოთა კავშირის გმირები, მშრომელი მეომრები — სოციალისტური შრომის გმირები, დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, რომლებიც თავდადებულად ეხმარებოდნენ ფრონტს,—ყველა მოსკოველი ზეიმობდა დიად გამარჯვებას, რომელმაც გვამცნო მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარება.

2 სექტემბერს საღამოს, გამარჯვების დღის წინ, მოსკოვი სადღესასწაულოდ მოიკაზმა. სახლებს აივნებზე აფრიალდა სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები, შენობების ფრონტონები მოირთო ტრანსპარანტებით, რომლებზეც აღბეჭდილია გამარჯვებული მეომრებისადმი მისალმების სიტყვები, გამარჯვების შემოქმედ საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინისადმი სიყვარულისა და მადლობის სიტყვები.

ა. ტორჩინსკი

## ლენინგრადი დიდი გამარჯვების დღეს

ნევის პროსპექტი ხალხით გაჭედილი და გამოცოცხლებული იყო ამ მზიან კვირა დღეს. როცა რადიომ ქუჩის სადღესასწაულო ხმაურში გამოაცხადა, ამხანაგი სტალინი სიტყვას წარმოსთქვამსო, ხალხი რეპროდუქტორებისაკენ გაეშურა.

ამხანაგ სტალინის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინა ყველა ლენინგრადელმა. ისმენდნენ სასახლის მოედანზე, სადაც შეიკრიბნენ ხალგაზრდული ქვეითი გადასვლის მონაწილენი, სტადიონებზე, სადაც სასპორტო შეჯიბრება მიმდინარეობდა, პარკებში, ნევის გრანიტის სანაპიროებზე, ბინებში, ფაბრიკა-ქარხნების საამქროებში.

საყოველთაო სახალხო ზეიმის მძლავრი ტალღა აზვირთდა ბელადის ისტორიული სიტყვის საპასუხოდ. მომილოცნია დიდი გამარჯვება, ომის წარმატებით დამთავრება, მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარება! ამ სიტყვებით მიმართავდა ერთმანეთს ათასობით ადამიანი.

ფრუნზეს სახელობის ქარხნის უდიდესი საამქროს მუშებმა თავიანთ დაზგებთან მოისმინეს ამხანაგ სტალინის სიტყვა. აქ იყვნენ წარჩინებული ხარატები და ზეინკლები, რომლებიც სტახანოვურად ასრულებდნენ სასწრაფო დაკვეთას.

სტალინის მშობლიური ხმის მოსმენის შემდეგ ყველამ ახალი ძალით იგრძნო სამშობლოს სასახელოდ თავისი შრომის სიდიადე. მეომრების მამაცობასთან შეერთებულმა აქ თავდადებულმა შრომამ მიიყვანა ჩვენი სამშობლო სრულ და საბოლოო გამარჯვებამდე კაცობრიობის უბოროტეს მტრებზე.

• • •

ოცდათორმეტი წელია მატარებლებს დაჰყავს ვასილ დიმიტრის-ძე მიხაილოვს. დღეს იგი მორიგეს სცვლიდა თავის დეპოში. ამხანაგ სტალინის გამოსვლის დროს მიხაილოვი ლიანდაგებში იყო და ორთქლმავლებს უშვებდა მატარებლებისათვის. დეპოში რადიოს ისმენდნენ ბრიგადები, რომლებიც თავიანთ რიგს ელოდნენ. მათ მიხაილოვს უამბეს ამხანაგ სტალინის გამოსვლის შესახებ.

მოხუცმა მემანქანემ ქუდი მოიხადა და სთქვა:

— მიხარია და მოგილოცავთ ყველას.

მოხუცი და ახალგაზრდა მეორთქლმავლეები მხურვალედ ართმევდნენ ერთმანეთს ხელს.

ზედიზედ გადიოდნენ სადგურის ლიანდაგებზე ორთქლმავლები. მათს რეგულატორებთან იდგნენ მემანქანეები, რომლებმაც დიდი სტალინის სიტყვა მოისმინეს. მათ გულის სიღრმეში ჩასწვდათ ბელადის სიტყვები. ისინი აღფრთოვანებულნი გაემართნენ და მზად არიან ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის. (საქტაგი).



17 ივლისს ბერლინში გაიხსნა დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მთავრობების მეთაურთა კონფერენცია. კონფერენციის სხდომებზე თავმჯდომარეობისათვის მისმა ორმა კოლეგამ მიიწვია შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბ-ნი ჰ. ტრუმენი. ამავე დროს სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები იკრიბებოდნენ სათათბიროდ. სურათზე: ვ. მ. მოლოტოვი, ი. ბ. სტალინი, ბ-ნი ჰ. ტრუმენი და ბ-ნი ქ. ეტლი

ფოტო ს. გურარისა.

## ისტორიული გამარჯვება

კიევი, 2 სექტემბერი. (საქტაგი). გამოუთქმელი სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის მშრომელნი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის ამხანაგ სტალინის სიტყვას.

როგორც კი რადიომ გამოაცხადა, ამხანაგი სტალინი სიტყვას წარმოსთქვამსო, კალინინის სახელობის მოედანზე, ვლადიმერის გორაკზე, ბაღებსა და სკვერებში, კრეშჩატიკზე—ქალაქის ყველა რაიონში ათასობით კიეველმა მოიყარა თავი.

მოსკოვის დროით 14 საათი და 30 წუთი იქნება. ჩამოდგა სიჩუმე. და აი გაისმა ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასი ხმა დიდი ბელადისა, რომელმაც გვამცნო, რომ დადგა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა.

იმპერიალისტურმა იაპონიამ კაპიტულაცია მოახდინა. განადგურებულია ფაშიზმისა და აგრესიის კერა აღმოსავლეთში. ჩვენს ქვეყანას შეუძლია მთელი არსებით ჩაება მშვიდობიან აღმშენებლობაში.

ბელადის ბოლო სიტყვებს მხურვალე ოვაცია მოჰყვა. ყველგან ზეიმია, მეგობრული მილოცვა. იმართება სტიქიური მისაუბრები.

[illegible]ბულმა სტახანოველმა, ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ჩერნიაკმა, რომელიც საწარმოო ნორმებს 250-300 პროცენტით ასრულებს, განაცხადა:

— ჩვენი სამშობლოს ყველა საწარმოთა მშრომელებმა თავიანთი თავდადებული შრომით ეხმარებოდნენ შემტევ წითელ არმიას, ეხმარებოდნენ მას გერმანელ-იაპონელ დამპყრობთათვის გამანადგურებელი დარტყმების მიყენებაში. ახლა მტერი დაჩოქებულია! ჩვენმა ქვეყანამ თავისი დიადი წვლილი შეიტანა საყოველთაო მშვიდობიანობის საქმეში. ჩვენი სამშობლოს მშრომელთა წმიდა მოვალეობაა არ შეანელონ შრომითი დაძაბვა. მალე მოიშუშონ ომით მიყენებული ჭრილობები, კიდევ უფრო მძლავრი, მშვენიერი გახადონ ჩვენი სამშობლო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან გმირ წითელ არმიას, ჩვენს გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს

## ხალხი ზეიმობს

### ბათუმი

მშრომლები უსაზღვრო სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხანაგ სტალინის მიმართვას ხალხისადმი. ფაბრიკა-ქარხნებში, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები. იაპონიაზე გამარჯვების აღსანიშნავად მშრომლები ახალ საბრძოლო ვალდებულებებს კისრულობენ.

სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები დიდი ინტერესით ისმენდნენ ბელადის მიმართვას ხალხისადმი. რადიოგადაცემის დამთავრებისთანავე გაიმართა სახელდახელო მიტინგი.

— მთელი საბჭოთა ხალხი,—ამბობს ქარხნის დირექტორი ზ. ბორიაშვილი,—უსაზღვრო სიხარულსა და აღფრთოვანებას განიცდის. იაპონელმა აგრესორებმა იგემეს სახელოვანი წითელი არმიის დარტყმების გამანადგურებელი ძალა. გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალებით გარშემორტყმულმა იაპონელმა დამპყრობლებმა თავი დამარცხებულად სცნეს და ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. ჩვენი შორეული აღმოსავლეთის ჯარებმა და წყნარი ოკეანის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მამაცმა მეომრებმა თავიანთი საბრძოლო დროშები მარად უკვდავი დიდებით შემოსეს. ომის მთელ მანძილზე ჩვენი ქარხნის კოლექტივი არაფერს იშურებდა გამარჯვებისათვის. ახლა, როცა დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა, ჩვენი კოლექტივი განახლებული ენერგიით იმუშავებს, რათა მოკლე ხანში მოუშუშოს ჩვენს ქვეყანას ომით მიყენებული ჭრილობები.

მეორე საამქროს უფროსმა ოპერატორმა ძნელაძემ სთქვა:— ცვლა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, სტახანოვურია. საბჭოთა ხალხისადმი დიდი სტალინის მიმართვის პასუხად ცვლის სახელით ვკისრულობ: ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 10 ტონა პროდუქცია, მტკიცედ დავიცვათ ტექნოლოგიური რეჟიმი, დიდი რაოდენობით დავზოგოთ საწვავი. პირადად მე მოკლე ხანში მოვამზადებ ოპერატორის თანაშემწეებად 5 ახალ მუშას.

— სიხარული და აღფრთოვანება,—სთქვა ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველმა ნ. სტურუამ,—რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის, უაღრესად დიდია, მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობა დადგა. გმირი წითელი არმიის სახელოვან გამარჯვებათა პასუხად ვიმუშავებთ შეუსვენებლივ მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. ვალდებულებას ვკისრულობ მოვემსახურო ორ აგრეგატს და დღიურად შევასრულო ოთხი ნორმა.

**ვ. ანთაძე**

გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

### სტალინირი

3 სექტემბერს სტალინირში საყოველთაო-სახალხო ზეიმი იყო. ხალხი დღესასწაულობდა იაპონიაზე გამარჯვებას, ზეიმობდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას.

მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგზე, რომელიც აქ შესდგა, დიდძალი ხალხი შეიკრიბა. მიტინგი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯაგოევმა. სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ბლბოროვი.

მიტინგმა მხურვალე ოვაციებით მიიღო ტექსტი მისასალმებელი დეპეშისა, რომელიც გაეგზავნა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს. დეპეშები გაეგზავნათ აგრეთვე ვ. მ. მოლოტოვს, ლ. პ. ბერიას და კ. ნ. ჩარკვიანს.

**ა. კრიხელი**

## გამარჯვების მესაჭე

დიდმა ბელადმა, მშობლიურმა სტალინმა საბჭოთა ხალხს და მშვიდობისმოყვარე მსოფლიოს თავის ბრძნული სიტყვით აცნობა: **მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.**

დაიწყო ახალი პერიოდი დიდი და შემოქმედებითი მუშაობისა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს იმ ჭრილობათა მოშუშებას, რაც ომმა მოგვაყენა.

— ჩვენი საბჭოთა ხალხი ძალესა და შრომას არ იშურებდა გამარჯვებისათვის,—სთქვა ბელადმა.

ჩვენ, მთელი მშრომელი ხალხი, გავაასკეცებთ ამ შრომას იმისათვის, რომ მოვაახლოოთ კიდევ უფრო მომხიბვლელი და წარმტაცი მომავალი, საითკენაც დიდ ბელადს მივყევართ.

მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანათა განსახორციელებლად ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი ადამიანები გვჭირდება. უმაღლესი სასწავლებლის მუშაკებმა უნდა აღვზარდოთ ღრმა ცოდნით აღჭურვილი, მტკიცე ნებისყოფის მქონე, სამშობლოს ერთგული და თავდადებული სპეციალისტები,—ისეთნი, როგორნიც შეეფერებიან დიდი სტალინის ეპოქას.

ამ საქმისათვის არ დავიშურებთ არც შრომას, არც ცოდნას და თუ საჭირო იქნება, არც სიცოცხლეს.

დიდი ბელადის, მშობლიური სტალინის მართალი საქმისათვის, დიადი საქმისათვის საამაყოა სიცოცხლეც და სიკვდილიც.

**ნ. კეცხოველი**

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

## გამარჯვება

2 სექტემბერს რადიოტალღებმა ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველ კუთხეში მიიტანეს დიდი სტალინის მშობლიური ხმა, მისი ბრძნული, ისტორიული სიტყვები, რომლებმაც სიხარულით აღავსო გული თვითეულ საბჭოთა ადამიანს.

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მშობლიური, მშვიდი და მტკიცე სიტყვები ყოველთვის, განსაცდელისა და სიხარულის წუთებში უდიდეს ძალას გვმატებს, გვიორკეცებს ენერგიას, გვინერგავს ახალ გამარჯვებათა ღრმა რწმენას.

ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა სთქვა ისტორიული სიტყვები, რომლებიც საფუძვლად დაედო მთელ ჩვენს საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკას:

**— არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა არ გვინდა. მაგრამ არც ჩვენ მიწას, ჩვენი მიწის არც ერთ გოჯს არავის მივცემთ.**

წლობით მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც მოიცვა დედამიწის ზურგის თითქმის ყველა სახელმწიფო და რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ათეულ მილიონობით ყველა ტომისა და ეროვნების ადამიანები. ბევრი სისხლი, ბევრი ცრემლი დაიღვარა მსოფლიოში ამ ხნის მანძილზე, უდიდესი ნგრევა და რბევა, უდანაშაულო ადამიანთა ჟლეტა, აწიოკება და დამონება იყო მისი თანამგზავრი, თავისუფლებისათვის ბევრმა კეთილშობილმა მებრძოლმა შესწირა თავისი ლამაზი სიცოცხლე მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარებას. ჩვენმა ქვეყანამ დიდი მსხვერპლი გაიღო ამ უწმინდესი საქმის გამარჯვებით დასაგვირგვინებლად. და აი ნაყოფი.

**— ...მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობისათვის საჭირო პირობები უკვე მოპოვებულია.**

2 სექტემბერი ისტორიული დღეა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის. მრავალი წლის სისხლისმღვრელ ბრძოლათა შემდეგ პირველად დამყარდა სიწყნარე ევროპისა და აზიის მატერიკებზე. არსად აღარ ისმის ქვემეხების გრიალი, ტყვიამფრქვევის კაკანი. რამდენმა მილიონმა ადამიანმა ამოისუნთქა თავისუფლად, რამდენმა ტანჯულმა, განაწამებმა ადამიანმა მრავალი საშინელი დღეების შემდეგ პირველად შემოსცინა სიხარულით შემოდგომის ლურჯ ცას! რამდენი დაუბრუნდება თავის მშობლიურ კერას, მახლობლებს, მოჰკიდებს ხელს თავისუფალ, სასიხარულო, შემოქმედებითს შრომას. ეს იმის შედეგია, რომ განადგურებულ იქნა ჰიტლერელთა ხროვა დასავლეთში და იაპონელი იმპერიალისტები აღმოსავლეთში. ამრიგად, ომის გამჩაღებელთა ორივე კერა ლიკვიდირებულია. „დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის", — სთქვა დიდმა სტალინმა.

ოთხ წელზე მეტი იბრძოდა საბჭოთა ხალხი მსოფლიოში მშვიდობიანობის დასამყარებლად. მან გაანდევნა ვერაგულად შემოჭრილი გერმანელი ფაშისტები, მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთობლივი ბრძოლით მოსპო ისინი თავის საკუთარ ბუნაგში, გაანადგურა იაპონელი აგრესორები. დღეიდან ჩვენი ქვეყანა კვლავ იწყებს მშვიდობიან ცხოვრებას.

**— მოგილოცავთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, დიდ გამარჯვებას, ომის წარმატებით დამთავრებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დადგომას.**

**— დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!**

დიდი სტალინის ეს ისტორიული სიტყვები ჯილდოა ჩვენი ქვეყნის თვითეული ადამიანისათვის, ვინც თავის ძალას და ენერგიას დაუღალავად ახმარებდა გამარჯვებას. ჩვენ უდიდესი სიამაყით მოვისმინეთ მშობლიური ბელადის სიტყვები. ჩვენ, დიდი სტალინის თანამემამულეებმა, მისი ხელმძღვანელობით, მისი წინამძღოლობით, მისი გენიით მოვიპოვეთ ეს უდიდესი გამარჯვება!

დიდება სტალინს!

დღეს უფრო ძლიერად ვგრძნობთ სიცოცხლის სილამაზეს. დღეს ერთი ასად გვახარებს ლურჯი ცა, სექტემბრის მზე, შრიალა ტყე, მოშველი ყანა და ყურძნის მტევანი, მტკვრის ღუღუნი და სკოლებში მიმავალი ბავშვების სიცილი. ყველაფერი ეს ჩვენი იყო და კვლავ ჩვენია. ყველაფერი ეს ჩვენ დავიცავით ჩვენი სისხლით, ჩვენი ოფლით, ჩვენი ბრძოლითა და შრომით. ყველაფერი ეს ათასჯერ ძვირფასი გახდა ჩვენთვის, ვიდრე ოდესმე იყო.

ჩვენ მოწოდებულნი ვართ კიდევ უფრო ავაყვავოთ, გავამშვენიეროთ ჩვენი ქვეყანა, შევუქმნათ უფრო ბედნიერი და ლამაზი ცხოვრება ჩვენს შვილებს, მთელი ენერგია, ძალღონე, შემოქმედებითი ნიჭი მოვახმაროთ სამშობლოს დიდებას.

თვალუწვდენ სოციალისტურ სამშობლოში თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე, სახალინიდან დასავლეთ ბუგამდე ჩვენი ბედნიერი, გამარჯვებული მოზეიმე ხალხი იმეორებს დიდი ბელადის უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინის სიტყვებს:

**— გამარჯვება და აყვავება ჩვენს სამშობლოს!**

## იხარე დიდო ქვეყანავ!

იხარე, დიდო ქვეყანავ, ლენინ-სტალინის ხელდებულო!

იხარე, გმირო ხალხო, რომელმაც შექმენ საბჭოთა უძლეველი და ბუმბერაზი სახელმწიფო დიდი რუსეთის წინამძღოლობით.

დღეს გმართებს უდიდესი სიხარულის გამოთქმა და ზეიმი.

უკანასკნელი აგრესორი აღმოსავლეთში დაძლეულია, მისი უხეში საომარი საჭურველი — შემუსვრილი, მისი კადნიერი თავმომწონეობა — დათრგუნვილი.

ჭეშმარიტად უდიდესი და უბედნიერესი დღეები უდგება მთელს კაცობრიობას.

ევროპასა და აზიაში, ის, ვინც ლამობდა კაცთა ჩაგვრას, ხალხთა დამონებას და რაც ამ ყოვლად მიუღებელი და უსამართლო საქმის შესრულებას მახვილით ხელში ცდილობდა მთელ მსოფლიოში, უკვე აღარ არსებობს. იგი მოსპობილი და აღგვილია დედამიწის ზურგიდან.

მტრები მოისრნენ, განქრნენ, გადაიჩეხნენ ისტორიის უფსკრულში.

„ვაი შენდა ხალხო, რომელი იყავ განუკითხავი, უგლიმი და უსამართლო!", — სწერია ერთ ძველ წიგნში, — „მოვა დრო და მოგეზღვება შენი დანაშაული, განადგურებული იქნები და გაცამტვერებული".

აი როგორ აუსრულდა ეს თითქოს მათზე დაწერილი წინასწარმეტყველება ღერძის სახელმწიფოებს გერმანიას და იაპონიას.

სამართლის ხმალმა თავზე გადაამტვრია მახვილი საბილწისა მათ.

ეს სამართლის ხმალი კი ეპყრა საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის უბადლო სტალინის დიდ მარჯვენას.

ბრძოლის დროს კი მას ეხმარებოდნენ დიდი ქვეყნები — ამერიკა, ინგლისი, ჩინეთი და რაკი მათ სამართლეს დაუჭირეს მხარი, მათთაც გაუმარჯვდათ.

ეს გამარჯვება უდიდესია, საყოველთაოა და ნუგეშისმცემელია კაცობრიობისათვის, რადგან ჩვენ ყველასა გვწამს, რომ უდიდესი სახელმწიფოები მთელი მსოფლიოსი მოაგვარებენ მშვიდობიან ცხოვრებას ყველასათვის.

ყველგან გუგუნებს ულამაზესი სიტყვა — „გამარჯვება".

ამაზე უკეთეს სალამს აბა საიდან მოიგონებ.

გამარჯვება, მკითხველო!

**შალვა დადიანი**

## დღესასწაული თბილისში

ეს დღე არასოდეს არ დაგვავიწყდება.

— იაპონიაზე გამარჯვების დღესასწაულის დღე, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დღე!

საქართველოს დედაქალაქი, ჩვენი მშობლიური თბილისი საზეიმოდ მორთული შეეგება გამარჯვების დღის განთიადს. ყველგან ალისფერი დროშებია. პროსპექტები და მოედნები მორთულია გირლიანდებით, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა და მისი თანამებრძოლების პორტრეტებით.

ბევრ საწარმოში დილითვე შესდგა საზეიმო მიტინგები. ქუჩებში, ბაღებში, დღის გასართობებში ყველგან აუარებელი მოზეიმე ხალხია. სავსეა თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილები — სტალინის სახელობის პარკი, ბოტანიკური ბაღი, მცხეთა, ლისის ტბა...

საღამოს ნიავმა საამურად დაჰბერა ქალაქს კოჯრის სიმაღლეებიდან. მზემ დასავლეთისკენ გადაიწია. ალაპლაპდნენ ქალაქში ათასობით ელექტრონათურები. ძველებურად, ომამდელი ეშხითა და სიძლიერით აინთნენ პროჟექტორები მოედანთა ირგვლივ მრავალსართულიანი სახლების სახურავებიდან.

ზურმუხტოვანი ვარსკვლავებით მოჭედილ ცის გუმბათში აიჭრნენ შუშხუნების სხივთა ზოლები. ფერად-ფერადი სინათლის ბურთულები ზღაპრულად ლამაზ წვიმათ წამოვიდნენ კრწანისისა, მთაწმინდისა, ვერისა და დიდუბისაკენ.

და იწერებოდა ყვავილთა ფერებით თბილისის ცის ფონზე უკვდავი სახელი საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორისა სტალინი!

ზეიმობდა თბილისი!

**დ. ლომთაძე**

## ხალხი ზეიმობს

### გორი

ბელადის სამშობლოში უსაზღვრო აღფრთოვანებაა. რაიონის მშრომლები ზეიმობენ ჩვენი ქვეყნის დიად ისტორიულ გამარჯვებას. სახლები და დაწესებულებები მორთულია ბელადების პორტრეტებით და წითელი ალმებით. მშრომლები ერთმანეთს ულოცავენ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას. საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში მიტინგები იმართება.

ზეიმით ჩატარდა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი კამოს სახელობის საკონსერვო ქარხანაში. ამხანაგ სტალინის მიმართვა ხალხისადმი მიტინგს გააცნო საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა გ. მიხანაშვილმა.

— იმპერიალისტური იაპონია განადგურებულია. მსოფლიოში მშვიდობიანობა დამყარდა. ჩვენი ვალია თავდადებით ვიმუშაოთ და სწრაფად მოვუშუშოთ სამშობლოს ომით მიყენებული ჭრილობები,—სთქვა სამუქაბე საამქროს უფროსმა გ. რუსიშვილმა. მან საამქროს მუშათა სახელით იკისრა სექტემბრის საწარმოო გეგმის 120 პროცენტით შესრულება და პროდუქციის თვითღირებულების 3 პროცენტით შემცირება.

მიტინგზე ახალი ვალდებულებები აიღეს მთავარი საამქროს ბრიგადირმა ლაბაზოვამ, მზა პროდუქციის საწყობის ბრიგადირმა თ. ვალიშვილმა, მონტიორმა ხან-იუგიმ და სხვებმა.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა სექტემბრის გეგმა 5 დღით ადრე შეასრულოს და ჩვენს ქვეყანას დამატებით მისცეს სამასი ათასი ქილა კონსერვი.

ზეიმია საკოლმეურნეო სოფელში. სხვანაირად გამოიყურება სოფელი ოხერაც. აქ ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა კოლექტიურად მოისმინეს ამხანაგ სტალინის გამოსვლა რადიოთი. სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის ხელმძღვანელმა ტ. ნონიკაშვილმა. მან განაცხადა:

— დადგა ნანატრი დღე. წითელი არმიისა და მოკავშირეთა არმიების ერთობლივი ბრძოლის შედეგად იაპონიამ დამარცხებულად სცნო თავი. ჩვენი ამ დიდი გამარჯვების პასუხად ბრიგადის სახელით ვკისრულობ საშემოდგომო თესვა 40 ჰექტარზე 5 დღეში დავამთავროთ, ხოლო შაქრის ჭარხლის აღება და ჩაბარება—4 დღეში, ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 60 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად 50-ისა.

კოლმეურნეობამ იკისრა საშემოდგომო თესვა 190 ჰექტარზე 5 დღეში დაამთავროს, ხოლო შაქრის ჭარხლის აღება და ჩაბარება —4 დღეში.

**შ. ჩუბინიძე**

გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

### ქუთაისი

მიკროფონთან დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ქუთაისის მშრომლები დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინის ნაცნობ მშობლიურ ხმას. დაიწყო საყოველთაო ზეიმი.

1.000-ზე მეტი კაცი დაესწრო მიტინგს ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატში.

—იაპონიამ უსიტყვო კაპიტულაციაზე მოაწერა ხელი. მან თავი დამარცხებულად სცნო. მეორე მსოფლიო ომი დასრულდა,—განაცხადა მთავარმა ინჟინერმა ა. მიქელაძემ.

— დადგა ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებისათვის, — განაცხადა ოსტატმა ი. იობიძემ.—ამიერიდან ჩაქრობილია ომის კერა აღმოსავლეთშიც. ჩვენი ხალხების მშვიდობიანი ცხოვრება და შრომა უზრუნველყოფილია. ენერგიას არ დავიშურებ გამარჯვებული სამშობლოს საკეთილდღეოდ. მესამე კვარტალის საწარმოო დავალებას 120 პროცენტით შევასრულებ.

სიტყვით გამოვიდა და გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულება იკისრა აგრეთვე ძაფსალები საამქროს ბრიგადირმა ელ. ბერძენმა.

დილით ადრე დაიწყო ზეიმი მაუდის ფაბრიკაში. მუშები მშობლიურ ქარხანაში მოიჩქაროდნენ. სტიქიურად გაიმართა მიტინგები. მშრომლები გამოსთქვამდნენ ულრმეს მადლობას ხალხთა დიდი ბელადის გენერალისიმუს სტალინისადმი. საერთო საფაბრიკო მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა ფაბრიკის დირექტორი კ. თოსელიანი. მუშებს მოუწოდა ამ დიად გამარჯვებას სტახანოვური შრომით უპასუხონ.

სიტყვები წარმოსთქვეს სტახანოველმა მქსოველმა თ. მესხმა, სართავი საამქროს უფროსმა გ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა. მათ გეგმის გადაჭარბებით შესრულება იკისრეს და პირობა დასდეს პროფესია შეასწავლონ ორ ახალგაზრდა მუშას.

ფაბრიკის მუშებმა აიღეს ვალდებულება წლიური საწარმოო გეგმა 25 დეკემბრისათვის გაანაღდონ.

ლიტოპონის ქარხანაში გამართულ მიტინგზე მუშა-მოსამსახურეებს იაპონიაზე გამარჯვება მიულოცა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ს. სადუნიშვილმა.

ამხ. ა. ზალიკაშვილმა, ლიტოპონის საამქროს უფროსმა მ. ზიალსკიმ და სხვებმა მხურვალე პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს. ქარხნის კოლექტივმა იკისრა სექტემბრის საწარმოო გეგმა 130 პროცენტით შესრულოს.

**გ. მეფისაშვილი**

გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

## დადგა მშვიდობიანობის პერიოდი მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის

2 სექტემბერს საბჭოთა ხალხის გამარჯვების დიდმა ორგანიზატორმა ამხანაგმა სტალინმა გვაუწყა შორეულაღმოსავლეთელი აგრესორის — იაპონიის კაპიტულაცია.

„ზღვებსა და ხმელეთზე სასტიკად დამარცხებულმა და გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალებით ყოველი მხრიდან გარშემორტყმულმა იაპონიამ თავი დამარცხებულად სცნო და იარაღი დაჰყარა", — სთქვა ამხანაგმა სტალინმა.

2 სექტემბერი ისტორიაში შევა, როგორც ღირსშესანიშნავი თარიღი ხალხების ხსნისა შორეულაღმოსავლეთელი აგრესორისაგან, ისევე როგორც 8 მაისი ისტორიაში შევიდა როგორც ევროპელი აგრესორისაგან — გერმანიისაგან ხსნის თარიღი. გერმანია და იაპონია მრავალი ათეული წლის განმავლობაში არღვევდნენ ხალხთა მშვიდობიანობასა და უშიშროებას. ისინი ვერაგულად ესხმოდნენ თავს თავიანთ მეზობლებს, იპყრობდნენ სხვის ტერიტორიებს და იმონებდნენ მეზობელ ხალხებს, ბოლოს მათ ამოცანად დაისახეს მთელი მსოფლიოს განაწილება და დაპყრობა.

1864 წელს პრუსია თავს დაესხა პატარა დანიას და გაანადგურა იგი. 1866 წელს თავს დაესხა ავსტრიას. 1870 წელს გააჩაღა ომი საფრანგეთთან. თუმცა პირველ მსოფლიო ომს ყველა ქვეყნის იმპერიალისტები ამზადებდნენ, მაგრამ იგი გერმანიამ დაიწყო. მეორე მსოფლიო ომი ევროპის მხრიდან აგრეთვე გერმანიამ გააჩაღა.

თავის მხრივ, იაპონია ასეთივე აგრესიული ძალის როლს ასრულებდა ქვეყნიერების მეორე მხარეზე. 1894 წელს იაპონია თავს დაესხა ჩინეთს და გაძარცვა იგი; 1904 წელს თავს დაესხა რუსეთს. 1915 წელს იაპონიამ ფაქტიურად თავს მოახვია ჩინეთს თავისი პროტექტორატი, (რომელზეც თუმცაღა იძულებული გახდა ხელი აეღო 1922 წელს ვაშინგტონის კონფერენციაზე სახელმწიფოთა ზეგავლენით). „1918 წელს, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, იაპონიამ ისარგებლა მაშინ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების მტრული დამოკიდებულებით საბჭოთა ქვეყნისადმი და, მათზე დაყრდნობით, — კვლავ დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, მოახდინა შორეული აღმოსავლეთის ოკუპაცია და ოთხი წლის განმავლობაში სტანჯავდა ჩვენს ხალხს, ძარცვავდა საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს" (სტალინი). 1928 წელს იაპონია შეიჭრა ჩინეთის პროვინცია შანდუნში, თუმცა ვერ შესძლო იქ ფეხი მოეკიდებინა. 1931 წელს იგი შეუდგა მანჯურიის დაპყრობას, ხოლო 1937 წელს დაიწყო ომი მთელი ჩინეთის დასაპყრობად. 1938 წელს იაპონიამ სცადა ხელი წაეპოტინებინა საბჭოთა ვლადივოსტოკისათვის (ხასანი), მაგრამ დამარცხებულ იქნა წითელი არმიის მიერ. შემდეგ 1939 წელს მან „გაიმეორა თავისი თავდასხმა უკვე სხვა ადგილას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის რაიონში, ხალხინ-გოლთან, იმ მიზნით, რომ შემოჭრილიყო საბჭოთა ტერიტორიაზე, გადაეჭრა ჩვენი ციმბირის რკინიგზის მაგისტრალი და მოეწყვიტა რუსეთისათვის შორეული აღმოსავლეთი" (სტალინი), მაგრამ კვლავ სასტიკად დამარცხდა. ბრძოლაში, რომელმაც რვა დღეს გასტანა, იაპონიის არმია განადგურებულ იქნა წითელი არმიის მიერ და 60 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა (25 ათასი მარტო მოკლულთა სახით). დასასრულ, 1941 წლის დეკემბერში იაპონია, ეთანხმებოდა რა თავის მოქმედებას გერმანიას, რომელიც მაშინ უკვე ომობდა დასავლეთ ევროპაში და სსრ კავშირის წინააღმდეგ, ჩაება მეორე მსოფლიო ომში როგორც ჰიტლერის მოკავშირე, იგი თავს დაესხა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისის სამფლობელოებს წყნარ ოკეანეში.

ასეთია მოკლე ნუსხა ორი იმ ძირითადი აგრესორის ავაზაკური აქტებისა, რომლებმაც ორი მხრიდან წაუკიდეს ცეცხლი მშვიდობიანობას და ხალხთა ხოცვა-ჟლეტა გამოიწვიეს.

ჯერ კიდევ 1936 წელს ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა ომის საფრთხის ორ კერას მსოფლიო ასპარეზზე: ერთს — იაპონიის ზონაში, მეორეს — გერმანიის ზონაში. ორივე კერა მოქმედებდა. თვითეული აგრესორი მსოფლიო ჰეგემონიაზე ოცნებობდა, მაგრამ ითვალისწინებდნენ რა თავიანთი ძალების შეზღუდულობას დანარჩენი მსოფლიოს რესურსებთან შედარებით, აგრესორებმა არჩიეს ერთმანეთს გაერთიანებინათ თავიანთი ძალები მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ და ერთმანეთთან შეთანხმებულიყვნენ მსოფლიოს გაყოფაზე. ამ შეთანხმებამ თავისი პირველი გამოხატულება ჰპოვა 1936 წ. ყბადაღებული „ანტიკომინტერნული პაქტით", რომლის მახვილიც მიმართული იყო არა მარტო სსრ კავშირის წინააღმდეგ, არამედ დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგაც, თუმცა დასავლეთის ბევრი ხელმძღვანელი პოლიტიკოსი მაშინ ამას ვერ ხედავდა ან არ სურდა დაენახა. 1940 წლის სექტემბერში გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ უკვე აშკარად მოაწერეს ხელი სამთა პაქტს, რომლის თანახმადაც მხარეებმა ევროპა სცნეს გერმანიის (და იტალიის) „ახალი წესრიგის" სფეროდ, ხოლო „აღმოსავლეთ აზიის სივრცე"—იაპონიის „ახალი წესრიგის" სფეროდ. ეს იყო უკვე **სამხედრო-პოლიტიკური კავშირი აგრესორებისა**, რომლებიც შეთანხმდნენ განაწილებინათ მსოფლიო შეიარაღებული ძალის საშუალებით.

მართალია, 1941 წლის აპრილში იაპონიამ ხელი მოაწერა სსრ კავშირთან ნეიტრალიტეტის პაქტს, ისევე როგორც 1939 წლის აგვისტოში გერმანიამ ხელი მოაწერა სსრ კავშირთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას, მაგრამ ეს ტაქტიკური სვლები იყო აგრესორების მხრივ, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ დროებით მოეგვარებინათ ურთიერთობა უძლიერეს სახელმწიფოსთან თავიანთ საკუთარ ზურგში, რათა შემდეგ, როცა დასავლეთსა და აღმოსავლეთში საქმეებს მოათავებდნენ, ერთად გასწორებოდნენ უკვე სსრ კავშირსაც. ეს სავსებით დაადასტურეს შემდგომმა მოვლენებმა. კონტინენტურ ევროპას რომ მოუღო ბოლო, გერმანია 1941 წლის ზაფხულში ვერაგულად შემოესია სსრ კავშირს. თუ იაპონია იმავე დროს ასევე არ მოიქცა, ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ მას რაიმე მშვიდობისმოყვარული გრძნობები ჰქონდა სსრ კავშირის მიმართ (სანამ ჰიტლერი სსრ კავშირს ეომებოდა, იაპონიას უდიდესი არმია ჰყავდა სსრ კავშირის შორეულ აღმოსავლეთის საზღვრებზე და წითელი არმიის საკმაოდ დიდ ძალებს იზიდავდა დასავლეთი ფრონტიდან, რითაც არსებითს დახმარებას უწევდა ჰიტლერს). იაპონიამ მხოლოდ დროებით გადასდო თავისი ჩაბმა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში. იგი ამჯობინებდა დალოდებოდა იმას, რომ ჰიტლერს დაესუსტებინა სსრ კავშირი, ამასობაში კი მას მოესწრო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ჰოლანდიის წყნარი ოკეანის ობიექტების ხელში ჩაგდება, ჩინეთზე რომ აღარ ვილაპარაკოთ. თუ იაპონია ბოლოსდაბოლოს მაინც არ დაესხა თავს სსრ კავშირს, ეს მოხდა არა მარტო იმიტომ, რომ თავისი ძალები დაბანდებული ჰყავდა წყნარი ოკეანის ომში, არამედ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში და სტალინგრადთან გერმანელების განადგურებამ დაანახვა იაპონელ ავანტიურისტებს, თუ რაოდენ საშიშია სსრ კავშირთან შეტაკება.

ფაშისტური გერმანიის განადგურებამ და კაპიტულაციამ იხსნა ჩვენი ქვეყანა ჰიტლერელების შემოსევის საფრთხისაგან დასავლეთში. გერმანიის დამარცხება ნიშნავდა ომის დამთავრებას მხოლოდ ევროპაში. აგრესიის ერთ-ერთი კერის განადგურება თუმცა უდიდეს შემსუბუქებას მოასწავებდა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ჰქმნიდა ნიადაგს მტკიცე მშვიდობიანობის დასამყარებლად **მსოფლიო მასშტაბით**, ვინაიდან მეორე აგრესორი კიდევ მოქმედებდა და იარაღის დაყრას არ აპირებდა. ვინაიდან **მშვიდობიანობა განუყოფელია** და შეიძლება სტაბილური იყოს მხოლოდ აგრესიის **ყველა** კერის მოსპობის შემთხვევაში, გერმანული კერის ლიკვიდაციის შემდეგ იაპონია წარმოადგენდა **ერთადერთ** სერიოზულ დაბრკოლებას **საყოველთაო** მშვიდობიანობის დამყარების გზაზე. აი რატომ არის, რომ მხოლოდ იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ (გერმანიის კაპიტულაციიდან 4 თვე რომ გავიდა) ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა:

**„დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის".**

საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც **საყოველთაო** მშვიდობიანობისათვის ყველაზე თანმიმდევარი მებრძოლია, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ნეიტრალური დარჩენილიყო შორეულაღმოსავლეთელი აგრესორის მიმართ, როდესაც ამ უკანასკნელმა თავისი ევროპელი პარტნიორის განადგურების შემდეგ უარი განაცხადა იარაღის დაყრაზე. ამიტომ საბჭოთა მთავრობის მიერ 8 აგვისტოს იაპონიისათვის ომის გამოცხადება უდიდესი **სამშვიდობო** მნიშვნელობის აქტი იყო. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ვადის შემოკლებისაკენ და მთელ მსოფლიოში მტკიცე, ხანგრძლივი და სამართლიანი მშვიდობიანობის დამყარებისაკენ მიმართული ნაბიჯი. ეს ესმის ყველა თავისუფლების მოყვარე ხალხს, რომლებსაც სწყუროდათ ორი უძლიერესი აგრესორის მიერ გაჩაღებული ავაზაკური ომის დამთავრება.

გარდა ამისა, როგორც ამხანაგმა სტალინმა სთქვა, ჩვენ **კიდევ განსაკუთრებული ანგარიში გვქონდა იაპონიის მიმართ.** ისარგებლა რა მეფის მთავრობის სისუსტით, მან ორმოცი წლის წინათ არა მარტო მოსწყვიტა მნიშვნელოვანი ტერიტორია ჩვენს ქვეყანას აღმოსავლეთში, არამედ თავისთვის ხელსაყრელი პოზიციებიც შეიქმნა შემდგომ დაპყრობათათვის. ასეთი პოზიციები იყო — სახალინის სამხრეთი ნაწილი და კურილის კუნძულები, საიდანაც იაპონელ მილიტარისტებს მრავალი წლის განმავლობაში ეჭირათ თვალი ჩვენს ნაპირებზე. ისინი უკეტავდნენ ჩვენ ქვეყანას აღმოსავლეთში „ყველა გასასვლელს ოკეანისაკენ—მაშასადამე, ასევე ყველა გასასვლელს საბჭოთა კამჩატკის და საბჭოთა ჩუკოტკის ნავსადგურებისაკენ. ცხადი იყო, რომ იაპონია მიზნად ისახავდა ჩამოეგლიჯა რუსეთისათვის მთელი მისი შორეული აღმოსავლეთი" (სტალინი).

1918-22 წლებში, აგრეთვე 1938-1939 წლებში, იაპონიამ გამოიყენა რა თავისი მდგომარეობის ყველა ხელსაყრელობა, სცადა პრაქტიკულად შესდგომოდა თავისი ამ ავაზაკური გეგმების განხორციელებას. ჯერ კიდევ 1927 წელს საიდუმლო მემორანდუმში, რომელიც იაპონიის იმპერატორს წარუდგინა მაშინდელმა პრემიერმა ტანაკამ, ნათქვამი იყო:

„ჩვენი ნაციონალური ზრდის პროგრამაში შედის, როგორც სჩანს, იმის აუცილებლობა, რომ კვლავ შევებრძოლოთ რუსეთს მონღოლეთის ველებზე..."

„კვლავ შებრძოლების" ეს წყურვილი მოსვენებას არ აძლევდა იაპონელ ავანტიურისტებს მეორე მსოფლიო ომის დროსაც და მაშინაც კი, როცა იაპონია უკვე დაბანდებული იყო წყნარი ოკეანის ომში. ამის შემჩნევა შეიძლებოდა იაპონიური შოვინისტური პრესის მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით. ამრიგად, ჩვენს ქვეყანას მუდამ ემუქრებოდა იაპონელი აგრესორი, რომელიც განუწყვეტლივ ეძებდა „შებრძოლების" შესაფერ შესაძლებლობას. ჩვენი ანგარიში ორმოცი წლის განმავლობაში არა მარტო აუნაზღაურებელი რჩებოდა, არამედ ჩვენს ხალხს მუდამ ემუქრებოდა აღმოსავლეთში საშინელი საფრთხე, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა მაშინ, როდესაც საფრთხე შეიქმნა დასავლეთიდანაც გერმანელი აგრესორის მხრივ, რომელთანაც კავშირი შეჰკრა იაპონელმა აგრესორმა.

„ორმოცი წელიწადს ველოდით ჩვენ",—სთქვა ამხანაგმა სტალინმა. ბოლოს, დადგა დრო გვეხსნა თავი იმ საფრთხისაგან, რომელიც თავს დასტრიალებდა ჩვენი ქვეყნის ხალხებს. დადგა დრო, როცა აგრესორებმა უნდა ზღონ თავიანთი დანაშაულობანი. „ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გადარჩენილია გერმანელთა შემოსევის საფრთხეს დასავლეთში და იაპონელთა შემოსევის საფრთხეს აღმოსავლეთში" (სტალინი).

თუ რას ნიშნავს ჩვენი მშვიდობისმოყვარე ქვეყნისათვის გერმანიის განადგურება—ეს ახლა ყველამ იცის. ხოლო იაპონიის განადგურება იმას „ნიშნავს, რომ სამხრეთი სახალინი და კურილის კუნძულები საბჭოთა კავშირის ხელში გადმოვლენ და ამიერიდან ისინი ოკეანისაგან საბჭოთა კავშირის მოწყვეტის საშუალება და ჩვენს შორეულ აღმოსავლეთზე იაპონიის თავდასხმის ბაზა კი აღარ იქნებიან, არამედ ოკეანესთან საბჭოთა კავშირის პირდაპირი კავშირის საშუალება და იაპონიის აგრესიისაგან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ბაზა" (სტალინი).

ამიერიდან იაპონელ აგრესორს არა თუ აღარ შეეძლება იმედი იქონიოს თავდასხმები მოახდინოს ჩვენს მიწა-წყალზე, არამედ იგი ველარ შესძლებს იმედი იქონიოს აპარპაშოს ჩვენს შორეულ აღმოსავლეთის წყლებშიც. იაპონიის განადგურების გათვალისწინებით, კიდევ უფრო იზრდება იმ ხელშეკრულებისა და შეთანხმებათა მნიშვნელობა, რომლებიც 14 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა ჩინეთსა და სსრ კავშირს შორის. ეს აქტები ამყარებენ მეგობრობისა და კავშირის ურთიერთობას მხარეებს შორის, აწესრიგებენ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებსაც თავდაცვითი მნიშვნელობა აქვთ სსრ კავშირისა და ჩინეთისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ამიერიდან იაპონელ აგრესორს აღარ შეეძლება იმედი იქონიოს დამკვიდრდეს მანჯურიაში და გადააქციოს იგი გამოსავალ ბაზად ავაზაკური ომისათვის როგორც სსრ კავშირის წინააღმდეგ, ისე ჩინეთის წინააღმდეგ. მას აღარ შეეძლება დაეყრდნოს სამხრეთ მანჯურიის ნავსადგურებს თავისი ფლოტით. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შორეულ აღმოსავლეთში ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობიანობის დამყარების პერსპექტივების თვალსაზრისით.

ამას გარდა, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებულ შტატების, ჩინეთისა და ინგლისის გაერთიანებული ძალებით არა მარტო გერმანიის, არამედ აგრეთვე იაპონიის განადგურებამ კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს გაერთიანებული ერების თანამშრომლობა ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობიანობის საფუძვლების ჩაყრაში და აგრესორთა ხელყოფისაგან მისი დაცვის საქმეში.

იაპონიის კაპიტულაცია ამთავრებს მეორე მსოფლიო ომს. **„ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობისათვის საჭირო პირობები უკვე მოპოვებულია"** (სტალინი). საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, რომელსაც დიდი სტალინი ხელმძღვანელობს, წამყვან როლს შეასრულებს საყოველთაო მშვიდობიანობის ორგანიზაციაში ისევე, როგორც ჩვენმა სახელოვანმა არმიამ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით გადამწყვეტი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომში მტრის გასანადგურებლად.

**ქ. სულამანიძე**

# აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს VII სესია

ბათუმი, 1 სექტემბერი. (საქტაგი). 31 აგვისტოს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს VII სესიის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი აჭარის ასსრ 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და აჭარის ასსრ 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატი ბ. ხალვაში, აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. მამულაძე, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ღვალაძე, მშრომელთა დეპუტატების ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დევაძე, დეპუტატი ა. ვანიძე, აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. ნ. ნიჟარაძე და დეპუტატი ვ. მაქაცარია.

დიდი აღფრთოვანებით, მქუხარე ტაშით სესიამ მიიღო მისალმება საბჭოთა კავშირის მარშალ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიასადმი.

სესიამ მოისმინა მომხსენებლის — აჭარის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისარ ამხ. ლომთათიძის და თანამომხსენებლის—აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ზ. პირთაშვილის საბოლოო სიტყვები.

აჭარის ასსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ჯერ მუხლობრივად და შემდეგ მთლიანად აჭარის ასსრ 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭო გადადის დღის წესრიგის მეორე საკითხზე — აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე.

მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი დეპუტატი ნ. ასათიანი.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს.

ამით აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის VII სესიამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

# სსრ კავშირ - ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო რადიომატჩი

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საქტაგი). სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო რადიომატჩმა, რომელიც გაიხსნა 300-მდე ამერიკელი მოჭადრაკის, მათ შორის ამერიკის საუკეთესო მაესტროების თანდასწრებით, დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკის საზოგადოებრიობის ფართო ფენებში.

ნიუ-იორკის მერმა ლა გარდიამ გახსნა მატჩი და აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შეჯიბრებას საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ხალხთა შორის მეგობრული კავშირის განმტკიცებისათვის. უდიდესი გაზეთები და დეპეშათა სააგენტოები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ მატჩს. ასოშეიტედ პრესის და იუნაიტედ პრესის სააგენტოებმა, გაზეთებმა „ნიუ-იორკ ჰეროლდ ტრიბუნმა", „დეილი უორკერმა", „დეილი მირორმა", „დეილი ნიუსმა" გამოაქვეყნეს ცნობები, რომლებშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირში ჭადრაკი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და საბჭოთა მოჭადრაკეები დიდი ოსტატები არიან. სპეციალურ მოწინავე სტატიებში გაზეთებმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" და „ნიუ-იორკ ჰეროლდ ტრიბუნმა" აღნიშნეს, რომ მატჩი დიდი ნაბიჯია საბჭოთა კავშირ-ამერიკის კულტურული თანამშრომლობის განმტკიცების გზაზე. საჭადრაკო ჟურნალმა „ჩეს რევიუმ" დაწვრილებითი ცნობები მოათავსა მატჩის საბჭოთა მონაწილეებზე. ამერიკის წითელმა ჯვარმა მოაწყო მატჩის მსვლელობის რადიოგადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების ყველა სამხედრო ჰოსპიტალში.

## პირველი პარტიის შედეგები

თავის გუნდს პირველი გამარჯვება მოუპოვა სსრ კავშირის ჩემპიონმა გროსმაისტერმა ბოტვინიკმა. 2 სექტემბერს დილის 3 საათსა და 50 წუთზე (მოსკოვის დროით) ნიუ-იორკიდან მოვიდა დენკერის დეპეშა: ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ჩემპიონმა განაცხადა, რომ იგი პარტიას სთმობს, და ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცა ბოტვინიკს.

4 საათსა და 55 წუთზე გროსმაისტერი რეშევსკი დანებდა გროსმაისტერ სმისლოვს.

ბოლესლავსკიმ მძიმე პოზიცია მიიღო ფაინის წინააღმდეგ. ფლორი უგებს გოროვიცს. კეშდენმა ყაიმი შესთავაზა გროსმაისტერ კოტოვს. მაგრამ უკანასკნელმა უარჰყო ეს წინადადება. თამაში გრძელდება.

ბონდარევსკის მცირე პოზიციური უპირატესობა აქვს სტეინერის წინააღმდეგ. მწვავედ მიმდინარეობს ბრძოლა პინკუს—ლილიენტალის პარტიაში. რაგოზინმა, რომელიც სეიდმენთან თამაშობს, შესძლო პოზიციის გათანაბრება. მათი შანსები თანაბარია. მაკაგონოვს ზედმეტი პაიკი და პოზიციური უპირატესობა აქვს კუპჩიკის წინააღმდეგ. ბრონშტეინს უპირატესობა აქვს პარტიაში სანტასიერის წინააღმდეგ.

2 სექტემბერს დამთავრდება პირველი ტურის დაუმთავრებელი პარტიები. (საქტაგი).

# დამთავრდა წითელი არმიის სამხედრო - საჰაერო ძალების სპარტაკიადა

გუშინ, 1 სექტემბერს, დამთავრდა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების საზაფხულო სპარტაკიადა. შვიდი დღის განმავლობაში სამხედრო ოლქების, ფრონტებისა და სამხედრო-საჰაერო აკადემიების ათასამდე საუკეთესო ფიზკულტურელი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობაში. სასპორტო ბრძოლა ჩატარდა მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ცურვის და ველოსიპედის დარგში 22 გუნდს შორის, ხოლო ფეხბურთისა და კალათბურთში—8 გუნდს შორის.

სპარტაკიადაში კარგ წარმატებას მიაღწიეს სპორტის ოსტატებმა მაიუჩაიამ, გოლოვკინამ, სეჩენოვამ, კუზნეცოვმა და სხვებმა. წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სპორტსმენებმა დაამყარეს ერთი საკავშირო რეკორდი და 12 სრულიად საარმიო რეკორდი.

სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო ოლქების გუნდებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოვის სამხედრო ოლქის გუნდი. სამხედრო-საჰაერო აკადემიების სასპორტო გუნდებს შორის პირველობა მოიპოვა ჟუკოვსკის სახელობის აკადემიის გუნდმა. (საქტაგი).



თბილისის საქალაქო საცურაო აუზი მომსახურებას უწევს სასპორტო სკოლის, მკერავების, „მედიკის" და სხვა სასპორტო საზოგადოებების მოცურავეთა ჯგუფებს. ისინი აქ მცურავ მწვრთნელის ხელმძღვანელობით მეცადინეობენ.

საცურაო აუზით ფართოდ სარგებლობენ თბილისის მშრომელებიც. განსაკუთრებით დიდძალი ხალხი ეტანება აუზს კვირა-უქმე დღეებში. მაგალითად, 2 სექტემბერს აუზით ისარგებლა 700 კაცმა, ხოლო 3 სექტემბერს აქ 1.000-ზე მეტი კაცი იყო.

სურათზე: (მარცხნივ) თბილისის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის მცურავები ძმები ვიქტორ და თეიმურაზ დოლიძეები. (მარჯვნივ) მეორე თანრიგის მცურავები გივი ბერიძე და თენგიზ მძინარაშვილი სტარტზე.

ფოტო რ. აკოფოვისა



# საერთაშორისო მიმოხილვა

მსოფლიო პრესა კვლავ გაცხოველებით უკეთებს კომენტარს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულებას და სამართლიანად აფასებს მას, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის უდიდეს დოკუმენტს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს ხელშეკრულება არა მარტო ემყარება სამი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ყირიმის კონფერენციაზე გამოცხადებულ პრინციპებს, არამედ ამ პრინციპების შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებასაც წარმოადგენს.

ამ ხელშეკრულების ქმედითობა და ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეესაბამება როგორც სსრ კავშირის, ისე ჩინეთის ინტერესებს. მისი ძალა იმაშია, რომ იგი განამტკიცებს საბჭოთა და ჩინელ ხალხებს შორის არსებულ ტრადიციულ მეგობრობას, რომ იგი განმტკიცებულია საერთო მტრის — იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დაღვრილი სისხლით.

ხელშეკრულების მნიშვნელობა აგრეთვე იმით განისაზღვრება, რომ იგი წარმოადგენს დიდი წვლილის შეტანას მშვიდობიანობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში არა მარტო ამ ორი ქვეყნის, არამედ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა საკეთილდღეოდ. დასასრულ, მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ, იგი, გაზეთების ერთსულოვანი აზრით, წარმოადგენს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრობის ბრწყინვალე დემონსტრაციას, საბჭოთა საგარეო პოლიტიკისა, რომელიც ემყარება იმ ხალხთა და სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის პრინციპს, რომლებთანაც სსრ კავშირი სახელშეკრულებო ურთიერთობას ამყარებს. ჩინეთის მთავრობამ, თავის მხრივ, გამოიჩინა პატივისცემა ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპისადმი, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვან ში-ძეს ნოტაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხზე.

ჩინური გაზეთი „სინხუაჟიბაო", ასახავს რა ჩინელი ხალხის განწყობილებებს, სწერს: „საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულება წარმოადგენს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის ქვაკუთხედს, ჩინეთისა და სსრ კავშირისათვის, აგრეთვე შორეული აღმოსავლეთის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთათვის ბედნიერების საწინდარს. ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შორეულ აღმოსავლეთში ახალი აგრესიული ომების თავიდან აცილებისა და ყოველგვარი ფორმის ფაშიზმის მოსპობისათვის.

ინგლისური გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" სწერს, რომ „საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ასეთი ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ხელმოწერა აუცილებელი ნაბიჯი იყო. ჩინეთის წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ქვეყნის აღდგენასთან. რუსეთთან ხელშეკრულებას გარკვეულობა შეაქვს ფრიად რთულ ურთიერთობაში და განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს".

სან-ფრანცისკოს რადიომ კომენტარი გაუკეთა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულებას და განაცხადა: „ეს ხელშეკრულება წარმოადგენს იაპონიის მხრივ მომავალში აგრესიის შესაძლებელ გამოვლინებათა წინააღმდეგ რეგიონალური შეთანხმების მაგალითს; იგი უზრუნველჰყოფს საბჭოთა რუსეთისა და ჩინეთს შორის მოქმედების ერთიანობას. ხელშეკრულება მოიწონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთსა და ჩინეთში, სადაც მას სთვლიან მშვიდობიანობის იარაღად, რომელიც სარგებლობას მოუტანს მთელ მსოფლიოს".

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულებას მნიშვნელობა აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ მისი განხორციელება ხელს შეუწყობს ჩინეთის ნაციონალურ გაერთიანებასა და დემოკრატიზაციას.

* * *

ამ კვირამ მოიტანა ცნობა, რომელსაც დიდი ხანია მოელოდნენ მთელი მსოფლიოს ხალხები, ცნობა იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის სამართალს გადაეცა ომის მთავარ დამნაშავეთა პირველი სია. „საქმეები" ამ დამნაშავეებისა, რომლებმაც სისხლიანი კვალი დააჩნიეს ევროპის ყველა ხალხთა სხეულს, საყოველთაოდ არის ცნობილი. ფართოდ ცნობილია ამ ჰიტლერელ ობერ-ჯალათთა და ბანდიტთა სახელებიც.

ბრალდებულთა სკამზე საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მოსამართლეთა წინაშე წარსდგებიან ჰიტლერელ დამნაშავეთა ბანდის მეთაურები. ფაშისტურ პარტიასა და სახელმწიფოში ჰიტლერის მთავარ თანამონაწილეებთან—გერინგთან, ჰესთან, როზენბერგთან, ლეისთან, ბორმანთან და სხვებთან ერთად დამნაშავეთა პირველ სიაში არიან გერმანიის სამხედრო მანქანის წინამძღოლებიც. ესენი არიან კაიტელი, დენიცი, იოდლი, რედერი, რომლებიც უშუალოდ ამუშავებდნენ და ასრულებდნენ სხვა ქვეყნებისა და ხალხების დამონების ავაზაკურ გეგმებს და რომლებიც პასუხისმგებელი არიან ოკუპირებულ ქვეყნებში ჰიტლერელი ჯალათების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათათვის. სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგებიან გერმანიის უდიდესი საფინანსო მაგნატები და სამხედრო მრეწველობისა და მეურნეობის მეფეები — ვალტერ ფუნკი, ჰელმარ შახტი, კრუპ ფონ ბოლენ უნდ გალბახი, რომლებმაც ასაზრდოვეს და ხელისუფლების სათავეში ჩააყენეს ჰიტლერი და რომლებმაც გერმანიის მთელი მეურნეობა მისი დამპყრობლური გეგმების სამსახურში დააყენეს. სასამართლოს წინაშე წარსდგებიან ჯალათები—მაიდანეკის, ბუხენვალდის ბანაკების და ათობით და ასობით ათას ადამიანთა მოსპობის სხვა ფაბრიკების ორგანიზატორები, „გაულაიტერები" — ჯალათები ზაუკელი, ფრანკი, ფრიკი და სხვები, რომლებმაც მთელი ქვეყნები დაიმონეს და ჩაგრავდნენ.

ფრიად სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ამ ჯალათების გასამართლება ნიურნბერგში მოხდება. სასჯელი—მკაცრი და სამართლიანი — თავს დაატყდება დამნაშავეებს სწორედ იმ ქალაქში, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინათ წარმოადგენდა ფაშისტი ავაზაკების შეკრებათა ადგილს, სადაც ფაშისტური პარტიის ყრილობები ფაშისტურ ბოროტმოქმედებათა გეგმებს განიხილავდნენ და იღებდნენ.

ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაბადებულ დღეებში ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ ჩვენი ხალხი არ აპატიებს გერმანელ მტარვალებს მათ დანაშაულს. „ჩვენ ვაიძულებთ გერმანელ დამნაშავეებს პასუხი აგონ მთელ თავიანთ ბოროტმოქმედებათათვის!" — განაცხადა ამხანაგმა სტალინმა. ახლა ეს სიტყვები სრულდება.

როგორც ომის მთავარ დამნაშავეთა საქმეების გამომძიებელი და ბრალმდებელი კომიტეტის ცნობიდან სჩანს, გამოქვეყნებული სია მხოლოდ დასაწყისია და გრძელდება ომის იმ დამნაშავეთა საქმეების გამოძიება, რომლებიც შეტანილი არ არიან პირველ სიაში. მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომელიც დიდი კმაყოფილებით შეხვდა ომის დამნაშავეთა ამ პირველი სიის გამოქვეყნებას, მოელის სრულ გამოძიებას, ომის დამნაშავეთა მთელი ჰიტლერული ხროვის მკაცრ პასუხისგებაში მიცემას და სამართლიანად დასჯას.

* * *

ამას წინათ იუგოსლავიაში დამთავრებულმა დროებითი სახალხო სკუპშჩინის მე-3 სესიამ მიიღო მთელი რიგი კანონები, რომლებიც თვალსაჩინოდ მოწმობენ ამ ქვეყნის უდიდეს წარმატებებს დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების დარგში. მიღებული კანონების უბრალო ჩამოთვლაც კი ცხადჰყოფს, რომ ამჟამად იუგოსლავიაში გამომუშავებულია ძირითადი კანონები, რომლებიც აწესრიგებენ მისი პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეებს. ამ დემოკრატიულმა კანონებმა შესცვალეს ფაშისტური „კანონმდებლობა", რომელიც ფაშისტურ რეჟიმთან ერთად დაემხო.

სესიამ მიიღო კანონი დამფუძნებელი კრების შესახებ, საარჩევნო კანონი, კანონები საზოგადოებათა და ორგანიზაციათა შექმნის, კრებებისა და დემონსტრაციების, ბეჭდვითი სიტყვის შესახებ ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე ბოროტმოქმედებათა შესახებ და სხვა.

იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ მილოვან ჯილასმა, დაახასიათა რა იუგოსლავიის ამ ახალი კანონების მნიშვნელობა, აღნიშნა, რომ ისინი „აგვარებენ და აწესრიგებენ რა განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს შექმნილ ურთიერთობას, წარმოადგენენ ფართო, მტკიცე საფუძველს სახელმწიფოს სახის საბოლოო განსაზღვრისათვის და ახალი ნაბიჯის გადადგმას იუგოსლავიის ხალხების ბრძოლაში ძმობისა, თანასწორობისა და თავისუფლებისათვის".

ამ კანონების განმასხვავებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თანმიმდევრულად ანტიფაშისტური არიან და ნამდვილად იცავენ დემოკრატიას ფაშიზმისაგან.

მაგალითად, კანონი დამფუძნებელი კრების შესახებ ითვალისწინებს ორი თანასწორუფლებიანი პალატის—საკავშირო სკუპშჩინისა და ეროვნებათა სკუპშჩინის შექმნას. ეს უკანასკნელი უზრუნველჰყოფს იუგოსლავიის აგების ფედერატიული პრინციპის დამკვიდრებას და იუგოსლავიის ყველა ეროვნების ხალხთა ინტერესების დაცვას. საარჩევნო კანონი აგრეთვე უაღრესად დემოკრატიულია. იგი ითვალისწინებს საიდუმლო კენჭისყრას, საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ არჩევნებს, სქესის, რასისა და სარწმუნოების მიუხედავად. საარჩევნო უფლებით სარგებლობს აგრეთვე ახალგაზრდობა 18 წლის ასაკიდან. საარჩევნო უფლებას პირველად იღებენ იუგოსლავიის არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები. ასეთი დემოკრატიული საარჩევნო კანონი იუგოსლავიას ჯერ არასოდეს არა ჰქონია!

კანონი პარტიებისა და ორგანიზაციების შესახებ სრულ თავისუფლებას აძლევს შეიქმნას ახალი და განახლდეს წინათ (1929 წ. 6 იანვრამდე—იუგოსლავიაში სამხედრო-ფაშისტური გადატრიალების დღემდე) არსებული პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები. გარდა პროფაშისტური ორგანიზაციებისა და ისეთებისა, რომლებიც რასობრივი სიძულვილისა და შუღლის პროპაგანდას ეწევიან. იუგოსლავიაში უზრუნველყოფილია აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის სრული თავისუფლება ყველასათვის, გარდა ფაშისტური ელემენტებისა.

ამრიგად, იუგოსლავიის ახალი კანონები უზრუნველჰყოფენ მთელი ხალხის ფართო უფლებებს და უსპობენ ამ უფლებებს ყველა იმას, ვინც ცდილობს ხელი შეუშალოს ახალი, თავისუფალი ცხოვრების შექმნას.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ეს კანონები მიღებულ იქნა სკუპშჩინის დეპუტატთა ხმების უდიდესი უმრავლესობით და იუგოსლავიის ხალხის მასებმა ისინი სავსებით მოიწონეს.

ა. შატილოვი

# დეპეშები

## სუნ ძი-ვენის განცხადება ოტავაში

ოტავა, 2 სექტემბერი. (საქტაგი). ჩინეთის აღმასრულებელი იუანის ოტავაში მყოფმა თავმჯდომარემ (პრემიერ-მინისტრმა) სუნ ძი-ვენმა 1 სექტემბერს პრეს-კონფერენციაზე სიტყვა წარმოსთქვა და დიდი კმაყოფილება გამოსთქვა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების დადების გამო. ამ ხელშეკრულებამ, —განაცხადა სუნ ძი-ვენმა,—დიდი გავლენა უნდა მოახდინოს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაზე მომავალში, და იგი, როგორც სჩანს, დიდი მსტაბილიზებელი ფაქტორი იქნება შორეულ აღმოსავლეთში. „რუსეთი, — სთქვა მან,—კარგად ეპყრობა ჩინეთს და მტკიცედ აქვს განზრახული მეგობრულად იცხოვროს ჩინეთთან".

შემდეგ სუნ ძი-ვენმა ილაპარაკა ჩინელი ხალხის დიდ აღფრთოვანებასა და კმაყოფილებაზე იაპონიასთან ომის დამთავრების გამო რამაც ბოლო მოუღო ენით გამოუთქმელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩინეთში იაპონელების სასტიკმა აგრესიამ გამოიწვია.

სუნ ძი-ვენი შეეხო ჩინეთის შინაურ პრობლემებს და განაცხადა, რომ ჩინეთს განზრახული აქვს გაჰყვეს „დემოკრატიის ფართო გზას". სუნ ძი-ვენმა ილაპარაკა ჩინეთის საგარეო ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩინეთის ეკონომიური ცხოვრების აღდგენა დიდად არის დამოკიდებული იმპორტზე.

შემდეგ სუნ ძი-ვენმა იწინასწარმეტყველა ჩინელი კომუნისტებისა და ცენტრალური მთავრობის ურთიერთობის საკითხის წარმატებით გადაჭრა ამჟამად ჩუნცინში წარმოებული მოლაპარაკების შედეგად.

## ირანის არმიიდან ოფიცრები გარბიან

თეირანი, 25 აგვისტო. (საქტაგი). (მიღებულია დაგვიანებით). იმ რეპრესიებთან დაკავშირებით, რომლებსაც ირანის გენერალური შტაბი მიმართავს დემოკრატიულად განწყობილი ოფიცრების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელ ხანს იყო მეშედისა და თეირანის გარნიზონებიდან დევნილ ოფიცერთა გაქცევის შემთხვევები. გაზეთი „ეტელაათი" იუწყება, რომ თეირანში დააპატიმრეს ჯგუფი ოფიცრებისა, რომლებზეც ეჭვობენ, რომ მათ კავშირი აქვთ მეშედიდან გაქცეულ ოფიცრებთან. გაზეთი „ფერმანი" სწერს, რომ გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა არფამ შეთქმულების გამოაშკარავების საბაბით 45-მდე ოფიცერი დააპატიმრა.

გაზეთი მოითხოვს, რომ მთავრობამ განმარტოს ამ საქმის გარემოება. გენერალური შტაბის ცნობით, რაც გაზეთ „ეტელაათში" 21 აგვისტოს გამოქვეყნდა, დაპატიმრებულ ოფიცერთა რიცხვმა 24 კაცს მიაღწია, ისინი თითქოს გადაყვანილ იქნებიან ირანის სამხრეთ ნაწილში.

თეირანის გაზეთები „შეფაგი", „ფარდა", „შაჰბაზი", „რაჰბარი", „ეგდამი" და სხვები აკრიტიკებენ ქვეყანაში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით მეორედ გამოქვეყნებულ სამხედრო გუბერნატორის ბრძანებას დედაქალაქში სამხედრო წესების შემოღების შესახებ.

„ხალხი რა დამნაშავეა, — კითხულობს გაზეთი „შაჰბაზი",—თუ შევიწროებისა და ძალადობის შედეგად არმიიდან ოფიცერთა ჯგუფი გაიქცა?"

გაზეთი აკრიტიკებს ბრძანების მეოთხე მუხლს, რომელშიც ნათქვამია, რომ კონსტიტუციური მთავრობის წინააღმდეგ გამოსულ პირებს, თუ მათი ღალატი დამტკიცდა, სიკვდილი უნდა მიესაჯოთ, და სწერს: „რომელ კონსტიტუციურ მთავრობაზეა ლაპარაკი? განა სადრმა მეჯლისში ნდობის ვოტუმი მიიღო? სირცხვილი არ არის ლაპარაკი იმ მთავრობაზე, რომლის წევრებიც არიან რეზა-შაჰის დამქაშები და ის პირნი, რომელნიც კანონისა და კონსტიტუციის წინააღმდეგ ილაშქრებენ?"

გაზეთი „ფარდა" სწერს, რომ სამხედრო წესების განგრძობა კიდევ უფრო აუარესებს მთავრობისადმი ხალხის დამოკიდებულებას.

## სამხედრო საწარმოების მუშათა დათხოვნა კანადაში

ოტავა, 2 სექტემბერი. (საქტაგი). პრესის ცნობებით კანადის ინდუსტრიულ ცენტრებში, კერძოდ ტორონტოსა და მონრეალში, სამხედრო საწარმოების უეცარ დახურვასთან დაკავშირებით ხდება მუშების მასობრივად დათხოვნა, ზოგჯერ გაუფრთხილებლად.

ტორონტოში, მონრეალსა და ვანკუვერში მუშათა მასობრივ მიტინგებზე იღებენ საპროტესტო რეზოლუციებს უეცარი დათხოვნის წინააღმდეგ. რეზოლუციები შეიცავენ მოთხოვნას, რომ მთავრობამ მიიღოს ზომები უმუშევრობის თავიდან ასაცილებლად.

კანადის ორი ძირითადი პროფკავშირული ორგანიზაცია — კანადის შრომის კონგრესი და კანადის პროფკავშირთა კონგრესი სავსებით უჭერენ მხარს ამ პროტესტებსა და მოთხოვნებს.

შრომის სამინისტრომ და რეკონსტრუქციის სამინისტრომ არა ერთხელ გამოაცხადეს, რომ სამხედრო ქარხნებიდან დათხოვნილი ყველა მუშისათვის სამუშაო უზრუნველყოფილი იქნება სხვა ადგილას. ამასთან დაკავშირებით პროფკავშირთა წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თუმცა კანადის მთელ რიგ ადგილებში მუშახელის მნიშვნელოვანი მოთხოვნილებაა, მაგრამ ინდუსტრიულ ცენტრებში, სადაც ბევრი მუშა დაითხოვეს საწარმოებიდან, მუშახელის მოთხოვნილება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იმათი რიცხვი, ვინც სამუშაო დაკარგა, ხოლო მიცემულ სამუშაოს გაცილებით უფრო ცუდად ანაზღაურებენ, ვიდრე ომიანობის დროს.

## ინგლისური ბიულეტენი პორტუგალიის ფაშისტური რეჟიმის შესახებ

ლონდონი, 30 აგვისტო. (საქტაგი). ლისაბონელი კორესპონდენტი ბიულეტენისა „სპენიშ ნიუს ლეტერ", რომელიც ინგლისში გამოდის, სწერს: „საზღვარგარეთ საკმაოდ არ იციან ის, რომ პორტუგალიელი ხალხის მასები მტრულად უყურებენ სალაზარის რეჟიმს, ხოლო საზღვარგარეთ კიდევ უფრო ნაკლებად იციან, რომ პორტუგალიაში არსებობს ძალიან კარგად ორგანიზებული არალეგალური მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს „ანტიფაშისტური ერთიანობის ნაციონალური კომიტეტი". ეს კომიტეტი, რომელშიც წარმოდგენილია ყველა დემოკრატიული პარტია და ჯგუფი, რეგულარულად უშვებს მთელ რიგ საუცხოო და სერიოზულ არალეგალურ გაზეთებს, მათ შორის „ლიბერტადეს ნასიონალსა" და „ავანტეს". პორტუგალიაში პოლიციური რეჟიმის არსებობამ გამოიწვია ახალი ამბების ერთი ადამიანისაგან მეორისათვის, ჯგუფისაგან ჯგუფისათვის ზეპირად გადაცემის ფართო სისტემის მოწყობა. ასეთი გზით, მიუხედავად მეტად სასტიკი ცენზურისა, პორტუგალიელებმა საკმაოდ კარგად იციან ყველაფერი, რაც მსოფლიოში ხდება, და დაძაბული ინტერესით ადევნებენ თვალყურს ესპანეთში არსებულ მდგომარეობას. საერთო განწყობილება ისეთია, რომ ესპანეთში ფრანკოს დაცემის შემდეგ სალაზარის რეჟიმი დიდხანს ველარ იარსებებს.

პორტუგალიელი ხალხი გაკვირვებული და შეშფოთებულია იმით, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში ცოტა იციან ფრანკოს პორტუგალიელი მოკავშირის რეჟიმის შესახებ, რომელიც სრულიად უცხოა დემოკრატიული ბუნებისა და ტრადიციებისათვის".

კორესპონდენტს მოჰყავს სია თვალსაჩინო მოღვაწეებისა, რომლებიც დაიღუპნენ პორტუგალიაში, გაჰქრნენ ან იძულებული არიან ემიგრაციაში იმყოფებოდნენ. „მსოფლიო, — სწერს კორესპონდენციის ავტორი, —შეძრწუნა ბელზენისა და ბუხენვალდის ბანაკებში მომხდარმა საშინელებებმა, ხოლო ნანკლარეს დე ოკას ფრანკოს ბანაკში მომხდარმა ამბებმა საზღვარგარეთ ფრანკოს მომხრეებიც კი შეაშფოთა. მაგრამ საზღვარგარეთ იცის ვინმემ თუ არა სიკვდილის იმ ბანაკის არსებობა, რომელიც სალაზარმა ტარაფალში მოაწყო? იციან თუ არა, სად არის იგი? ტარაფალში, მწვანე კონცხის კუნძულებზე, სალაზარმა მოაწყო საკონცენტრაციო ბანაკი, რომელშიც საშინელ პირობებში არიან პორტუგალიის საუკეთესო შვილები—ექიმები, ადვოკატები, პროფესორები, ოფიცრები, საქმის ადამიანები, სტუდენტები, მუშები, გლეხები. მათი „დანაშაული" იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადამიანები მტრულად უყურებენ სალაზარს".

## ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალნი შეუდგნენ მმართველობას მათთვის განკუთვნილ ვენის რაიონებში

ვენა, 2 სექტემბერი. (საქტაგი). ავსტრიაში ამერიკის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა მარკ კლარკმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 1 სექტემბრიდან ამერიკის ხელისუფალნი თავიანთ თავზე იღებენ კონტროლსა და მმართველობას მათთვის განკუთვნილ ვენის ზონაში.

ვენა, 2 სექტემბერი. (საქტაგი) გუშინ ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებმა თავიანთ თავზე მიიღეს მმართველობა მათთვის განკუთვნილ ვენის საოკუპაციო ზონებში.

ამრიგად, 1 სექტემბრიდან უმაღლეს ხელისუფლებას ვენაში შესაბამის საოკუპაციო ზონებში შეასრულებს ოთხი სახელმწიფო—სსრ კავშირი, ინგლისი, ამერიკა და საფრანგეთი. ისინი ერთობლივად იზრუნებენ ქალაქის სურსათით მომარაგებისათვის.

# რაზე მუშაობენ აფხაზეთის მწერლები

აფხაზეთის საბჭოთა მწერლები ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან.

ბევრი კარგი მხატვრული ნაწარმოების ავტორია აფხაზეთის სახალხო პოეტი, ორდენოსანი დიმიტრი გულია. მისი სახელი ფართოდ არის ცნობილი რესპუბლიკის მშრომელებში. პოეტის უკანასკნელი პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა „სტალინი". აფხაზ ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობს დ. გულიას მშვენიერი ლექსი „სიმღერა გმირზე", მიძღვნილი საბჭოთა კავშირის გმირ ვლადიმერ ხარაზიასადმი. ამ ლექსზე მუსიკა დაიწერა და ხალხში უკვე გავრცელდა.

ნიჭიერი ლირიკოსი პოეტის ბაგრატ შინკუბას კალამს ეკუთვნის ბევრი საინტერესო ნაწარმოები. მისი ლექსები „მზეთუნახავი გუნდა", „პარტიზანი" და პოემა „ხმალი" აფხაზური პოეზიის მიღწევებს წარმოადგენენ.

ბრძოლის ველზე მიღებულ შთაბეჭდილებებს მხატვრულად გადმოგვცემს პოეტი ქიაზიმ აგუმაა, რომელიც დაჯილდოებულია მედლებით „მამაცობისათვის" და „სამამულო ომის პარტიზანს". პარტიზანთა რიგებში ყოფნის დროს ეხება მისი ლექსები ციკლიდან, რომელსაც ავტორმა „არაში" (მერანი) უწოდა. კარგია მისივე „ბალადა სალამურზე".

მწერალმა გიორგი გულიამ დასწერა დრამა „გმირის კლდეკარი", რომელიც წარმატებით დასდგეს აფხაზეთის თეატრებმა. პიესა გვიხატავს საბჭოთა პატრიოტის თავგანწირვას მამულისათვის ბრძოლაში. ფონად აღებულია კავკასიის გმირული დაცვის ერთერთი მომენტი. გ. გულიას ლექსების კრებული შარშან გამოსცა აფხაზეთის მწერალთა კავშირმა.

ქართველმა დრამატურგმა გიორგი გაბუნიამ სამამულო ომის თემაზე დასწერა პიესები „საბჭოთა კავშირის გმირი" და „ორჯონიკიძის ხმალი". ეს პიესები დასდგეს როგორც აფხაზეთის სახელმწიფო თეატრმა, ისე საქართველოს რაიონულმა თეატრებმა. დრამატურგმა გ. გაბუნიამ ახლახან დაამთავრა კომედია „ბედნიერი შემთხვევა".

პროზაიკოსმა ივანე პაპასკირმა დასწერა რომანი „მოტაცება". ეს ნაწარმოები თვალსაჩინო მოვლენაა აფხაზურ ლიტერატურაში.

ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის სექციებში გაერთიანებული პოეტები და მწერლები: მ. ლაშბა, ი. თარბა, შ. ტაბიძე, ა. ქოიავა, ს. სანგულია, ა. ჯონუა, ი. ნოვოდვორსკი, ი. ჰოჰუა, ა. მექვაბიძე და რ. თაყუშელი.

ხუტა ბერულავა

# ფეხბურთი

## „დინამო"—„ლოკომოტივი"

კვირას, 2 სექტემბერს, ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. აღნიშნული გუნდების პირველი წრის შეხვედრა, რომელიც ჩატარდა მოსკოვში და თბილისელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა, დამთავრდა მოულოდნელი ყაიმით—1:1.

შეხვედრის პირველი წუთებიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა.

თბილისელთა უპირატესობა მეორე ტაიმში უფრო გამოჩნდა. თამაშის ბოლო წუთებში თბილისელ თავდამსხმელთა მარცხენა ფრთამ, ენერგიული და კომბინაციური თამაშით, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალგაზრდა, დაუღალავი ფეხბურთელი ლოლობერიძე, მოუპოვა გუნდს გამარჯვება. ბერეჟნოიმ, ლოლობერიძემ და პაიჭაძემ ზედიზედ გაიტანეს სამი ბურთი მოწინააღმდეგის კარში.

შეხვედრა დამთავრდა თბილისის „დინამოს" გამარჯვებით, ანგარიშით—3:0.

მორიგი შეხვედრა თბილისელებს ექნებათ 9 სექტემბერს კიევში ადგილობრივ „დინამოსთან".

* * *

2 სექტემბერს მოსკოვში, „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „ცდკა" და „ტორპედო".

მოსკოვის „ტორპედო", რომელიც უკანასკნელ შეხვედრებს ატარებს მეტად სუსტად (დამარცხებები ლენინგრადის „დინამოსთან" და „ზენიტთან"—1:4, 1:4), ამჯერადაც დამარცხდა—„ცდკამ" მატჩი მოიგო ანგარიშით —2:1.

ა. გოგოლაშვილი

# დიდი მოგებანი

ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებით სამტრედიის რაიონში ბევრს ხვდა მოგება. ილიკო ქორქოლიანმა 25-მანეთიანი ბილეთით მოიგო 15.000 მანეთად ღირებული კრაველის პალტო, ნინო ხუხუამ მოიგო 10.000 მანეთი ფულად. ლიდა ქობალიამ—6.000 მანეთი, ისიდორე გოგვაძემ—5.000 მანეთი, მექი არველაძემ და შოთა კოხრეიძემ მოიგეს საკოსტუმეები, ხოლო ალექსანდრე კვანტალიანმა საპალტოე.

ვ. რუსია

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მოქალაქე იაგორ სტეფანეს-ძე მარგველაშვილმა, მცხოვრებმა ძნელაძის I ჩიხი, 4, აღძრა საქმე გერშუნის ქ. № 3 მცხოვრებ მოქალაქე თამარ სარდიონის-ასულ მარგველაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმე განხილულ იქნება თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის III კურსის II ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან ანტუანეტა ქვანიას მამის პეტრეს გარდაცვალებას.

მშობლები ალექსანდრე და ელენე, ცოლი ლუსია ვაჟიშვილით, ძმები სერგო და გიორგი ცოლ-შვილით იუწყებიან ალექსი ჯობაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/IX 8 ს. გამოსვენება 6/IX 6 ს., ტრამვაის ქ. № 21.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 07985